საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ივლისი ორშაბათი 2012 №172 (13778) ფასი 80 თეთრი

## ქართველი ოლიმპიელები პატრიარქმა დალოცა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შერიგებისა?

## ქეცბაიამ გოგუას ხელი გაუწოდა



რა მოხდა დანიაში ორჰუსთან გამარჯვების შემდეგ

2



## დანიელებმა არ დაგვაფასეს, დავაფასოთ დანიელები!

ინტერვიუ დილას მთავარ მწვრთნელ თემურ შალამბერიძესთან

2



## სტუ პირველია

საუნივერსიტეტო სპორტი

11

დარჩა ჩერნოგორია, არჩევანი კი ორია:

## ყველაფერი, ან არაფერი

საქართველოს კადეტთა ნაკრების ბედი დღეს გადაწყდება





მარადი ზოიძე

## მარად-ჩემპიონი

ორი ოქრო
ერთი ბრინჯაო
და გუნდური
პირველობა
კატოვიცეში ევროპის
ჭაბუკთა ჩემპიონატზე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

11

## ლელოს ოთხშაბათის ნომერში შემოგთავაზებთ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების კალენდარს

## ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 4 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ინტერვიუ

# თემურ შალამბერიძე: დანიელებს ეგონათ, აზრზე არ ვიყავით

გორის "დილამ" ევროპის ლიგის პირველი შეხვედრა "ორჰუსს" დანიაში 2:1 მოუგო და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლის მშვენიერი შანსი აქვს.

განმეორებით მატჩამდე სამი დღეა დარჩენილი და "დილას" მთავარ მწვრთნელს, თემურ შალამბერიძეს გავესაუბრეთ, რომლის სამწვრთნელო ევროდებიუტი ძალიან წარმატებული გამოდგა.

**- დანიური შეხვედრა ჩვენთვის არასასურველად წარიმართა, "ორჰუსმა" უკვე მე-3 წუთზე გაგვიტანა. ასეთ დროს ჩვენებს შეხვედრის შემოტრიალება უჭირთ, მაგრამ გორელებს ხასიათი აღმოაჩნდათ და სიმართლე გითხრათ, ამან ძალიან გაგვაკვირვა.**

- 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული: დანიაში სტადიონზე ისეთი ვითარება იყო, ახალგაზრდული გუნდი რომ გვყოლოდა, ფსიქოლოგიურად გატყდებოდა და შეხვედრას ვერ შემოვატრიალებდით. საბედნიეროდ, "დილაში" ყველა გამოცდილი მოთამაშეა და არ დაიბნენ. ესაა განსხვავება ნათამაშებ და გამოუცდელ ფეხბურთელებს შორის.

ალბათ, ტაქტიკაც სწორად შევარჩიეთ, რადგან ძალიან არ გავიხსენით – დანიელებთან გასვლაზე ღია ფეხბურთის ჩვენება გაუმართლებელი რისკი იქნებოდა. პირიქით, მათ რამდენიმე სუსტი მხარე ჰქონდათ, რაც "ოლბორგთან" პირველი ტურის შეხვედრაში დავინახეთ და მათი სუსტი მხარეების გამოყენებას შევეცადეთ. ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულეს და კლასითა და გამოცდილებით გაიმარჯვეს.

**- რატომ არ ითამაშა შოთა გრიგალაშვილმა?**

- მატჩის წინა დღეს მოიწამლა. მეორე დილით კარგად იყო და გვთხოვა, მათამაშეთო, მაგრამ გარისკვას მოვერიდე, რადგან ექიმმა არ გვირჩია. არც ვიცი, რა ვიფიქრო. სასტუმროში გუნდთან ერთად რაღაც ჭამა და ისე ცუდად გახდა, საავამყოფოში მისვლა დასჭირდა.

არადა, ყველამ იგივე ჭამა, მაგრამ ეჭვები გაჩნდა. საეჭვოდ გვეჩვენა გერმანიაში ბოლოს "ერფრუტთან" ჩატარებული შეხვედრის დეტალებიც - არსად მინახავს, რომ საკონტროლო შევედრაში მეტოქეს დასამტვრევად იმეტებდე. გერმანელები გამორჩეულად ჩვენს ლიდერებს ერჩოდნენ - გრიგალაშვილს, კვირკველიას, ვაწაძესა და გოგუას ფეხებში ისე ურტყამდნენ, რომ კინაღამ ოთხივე მოედნიდან გასაყვანი გახდნენ. შეთქმულებების არ მჯერა, მაგრამ "ორჰუსთან" მატჩამდე მათი ასეთი საქციელი დასაფიქრებელი იყო, მერე გრიგალაშვილი მოიწამლა...



თემურ შალამბერიძე

ისე, გერმანელებთან მატჩის ერთი დიდი პლუსი ის იყო, რომ დანიელებმა სწორედ ამ შეხვედრიდან გამომდინარე იფიქრეს, რომ აზრზე არ ვიყავით. არადა, უხეშობას რომ წავაწყდით, ტრავმების შიშით, ბიჭებს თავად ვთხოვე, გაჩერებულიყვნენ და თავი არ მოეკლათ. დანიელები კი სიხარულით გაგიჟდნენ, დგანან, არ დარბიან, იფიქრეს, აზრზე არ არიანო.

**- "ორჰუსის" ქართველებზე რას იტყვით?**

- სხირტლაძე შემოვიდა თუ არა, ბურთი ძელს მოარტყა და საკმაოდ მწვავედ უტევდა. მიმაჩნია, რომ დათო ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული თავდამსხმელია. დევდარიანიც მომეწონა, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ტრავმის შემდეგ ჯერ ფორმაში არ არის, თორემ, ძალიან აზრიანი და კარგი ნახევარმცველია.

**- განმეორებითი შეხვედრისთვის სად ემზადებით?**

- საგურამოში ვვარჯიშობთ, მატჩამდე დღე-ნახევრით ადრე კი თბილისში შეკრებაზე გადავალთ.

**– გასვლაზე მოგების და ეიფორიის შემდეგ, მოთამაშეთა მობილიზება რთული იქნება. არადა, ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი არც ისე შორს არის და ახლა უფრო გესაჭიროებათ განსაკუთრებული მონდომება.**

- ზუსტად ამაზეა ლაპარაკი, აქ უფრო ძნელი თამაში გველის. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ დანიელებმა აშკარად არ დაგვაფასეს, რასაც "ორჰუსის" სწრაფი გოლიც დაემატა და მიიჩნიეს, რომ გადაგვივლიდნენ.

მაგრამ დიდ წინაალმდეგობას რომ წააწყდნენ, მერე უცებ გადაწყობა, რიტმში ჩაჯდომა და გამოფხიზლება გაუჭირდათ. განმეორებითი შეხვედრისთვის კი მობილიზებულები იქნებიან, რადგან მიხვდნენ, რომ ჩვენც შეგვიძლია თამაში და გუნდი ვართ.

ბიჭებმა კი ისეთი მატჩი შემოატრიალეს, რომ მათი სერიოზულობისა და გამოცდილების იმედი მაქვს. არავისგან ესწავლებათ, რომ ჯერ არაფერი დამთავრებულა და ახლა უფრო უნდა გაწყონ. ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით, დანარჩენი მათზე იქნება დამოკიდებული.

**- ხოჯავას ამბავი როგორ იქნება?**

- რეაბილიტაციას გადის, დარბის.

**- მამუჩიშვილის, ბარაბაძისა და გორელიშვილის ამბავიც საინტერესოა: მათ იჯარით უშვებთ?**

- ალბათ, ბარაბაძეს გავანათხოვებთ, სათამაშო პრაქტიკა რომ ჰქონდეს და ფორმა აღიდგინოს. მამუჩიშვილი განაცხადში ვერ მოხვდა, რადგან ჯერ ფორმაში არ იყო, მაგრამ ჩვენთან დარჩება. გორელიშვილი ძალიან ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ ჯერ ასეთ პრინციპულ შეხვედრაში ვერ ვათამაშებდი. უკვე გითხარით, რომ "ორჰუსთან" გამოცდილი ხალხი გვჭირდება, რადგან ასეთები მეტოქეს უფრო ადვილად ულებენ ალლოს. ახალგაზრდებს კი გარკვეული დრო სჭირდებათ, მათ რომ მხარი აუბან. მაგრამ გამოუცდელებსაც ნელ-ნელა გამოვაჩენთ და დავაწინაურებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ნაბიჯი შერიგებისკენ?



თემურ ქეცბაია (უკანა პლანზე) და გოგიტა გოგუა

# ქეცბაიამ დანიაში გოგუას გამარჯვება მიულოცა

დანიაში "ორჰუსთან" გორის "დილას" მოგება არა მხოლოდ შედეგის გამო იყო მნიშვნელოვანი: გორელთა პრესსამსახურის ინფორმაციით, მატჩს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** დაესწრო, რომელმაც შეხვედრის შემდეგ გასახდელში ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს გამარჯვება მიულოცა.

ხომ ხვდებით, რაც დაგვაინტერესებდა? მივიდა თუ არა ქეცბაია მისალოცად **გოგიტა გოგუასთან**, რომელთანაც 2011 წლის 27 მარტს, ხორვატიასთან მოგების მეორე დღეს ისეთი კონფლიქტი მოუვიდა, რომლის შემდეგაც გოგუა ნაკრებს ჩამოაშორა და აღარ მიუწვევია.

*"დიახ, თემური გასახდელში შემოვიდა და გამარჯვება მწვრთნელებსა და ყველა მოთამაშეს ცალ-ცალკე მოგვილოცა. ის იყო კარგი, რომ გოგუასთანაც მივიდა და მე მგონი, შერიგდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი გვაქვს და ქეცბაიას მხრიდან ძალიან კარგი ადამიანური ნაბიჯი იყო. ეს ამბავი ყველას ისე გაგვიხარდა, თითქოს დანიაში მეორე თამაშიც მოვიგეთ"*, – გვითხრა "დილას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ შალამბერიძემ.**

ცხადია, ჯერ მაინც ნაადრევია იმის მტკიცება, რომ ქეცბაია და გოგუა შერიგდნენ და "დილას" ნახევარმცველს ნაკრებში დააბრუნებენ, მაგრამ ეროვნული გუნდის თავკაცის ეს ნაბიჯი უ[...]ვოდ მოსაწონია.

ახლა მეორე საკითხი: ქეცბაია დანიაში ნაკრების პოტენციურ კანდიდატებს აკვირდებოდა. გორელთა შორის კი მრავალი ასეთი მოთამაშეა – **დავით კვირკველია, კახა ალადაშვილი, სანდრო გურული, მათე ვაწაძე,** არ უთამაშია, მაგრამ ნაკრების წევრია **შოთა გრიგალაშვილი.** შესაძლოა, **ლაშა სალუქვაძისა და გიორგი შაშიაშვილის** კონდიციებიც აინტერესებდა.

ჩვენი ინფორმაციით, ქეცბაიას **გიგა ბეჟვაიაც** აინტერესებს და შესაძლოა, უახლოეს შეკრებაზე გამოიძახოს. თუმცა, გორელთა მთავარი მწვრთნელისთვის ქეცბაიას არ უთქვამს, რომელ მოთამაშეს აკვირდებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრანსფერი

# გამეზარდაშვილი: ტორპედოდან ზუგდიდში



დავით გამეზარდაშვილი

იმ ზუგდიდურ გუნდს, რომელიც წინა სეზონში უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, "ბაია" ერქვა, მომავალი სეზონისთვის კი უმაღლეს ლიგაში "ზუგდიდი" ითამაშებს, რომლის კონსულტანტად **ოთარ გაბელია** დაინიშნა.

დღეს "ზუგდიდი" თურქეთში მიემგზავრება, სადაც ათდღიანი შეკრება ექნება. ზუგდიდელები სამთო კურორტ კარტეპეში დაბინავდებიან და სავარაუდოდ, ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ: 25, 28, 30 ივლისს და 2 აგვისტოს.

"ზუგდიდი" რამდენიმე ახალწვეულით რომ გაძლიერდა, ადრეც გაუწყეთ. გამოცდილი მცველი **სევასტი თოდუა**, კამერუნელი მცველი **ბოიომო,** მარჯვენა მცველი **დაჩი ფოფხაძე,** დისკვალიფიკაციამოხდილი **როინ ონიანი,** ნახევარმცველი **დავით ბოლქვაძე,** "დინამოს" ყოფილი კაპიტანი **ალექსანდრე კოშკაძე,** "გაგრადან" წასული შემტევი **გიორგი გაბედავა...** "ზუგდიდშია" **ზაზა ჯანაშიას** ძმა **ზამირიც,** მშობლიური ქალაქის გუნდში დაბრუნდა 19 წლის **ზვიად სიხარულია,** ვისაც კონტრაქტი ჰქონდა დასრულებული ზუგდიდურ კლუბთან და სხვაგან აპირებდა მოწყობას.

ახლახან "ზუგდიდში" კიდევ ერთი გამოცდილი ფეხბურთელი მივიდა – ქუთაისის "ტორპედოს" ყოფილი კაპიტანი, 30 წლის **დავით გამეზარდაშვილი.**

ერთი სიტყვით, შეცვლილ ზუგდიდურ კლუბში საკმაოდ კარგ კონტინგენტს ასევე საკმაოდ გამოცდილი კადრები დაემატნენ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, "ზუგდიდი" მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდებს ბევრ ქულას დააკარგვინებს ან იქნებ მათ მარაქაშიც გაერიოს.

**დავით თავართქილაძე**

● ზესტაფონი



# ნეფთჩი თბილისში ჩამოფრინდება

## გაჯიევი ისევ შეუძლოდაა

24 ივლისს "ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში ბაქოს "ნეფთჩის" უმასპინძლებს. აზერბაიჯანის ჩემპიონი თბილისში ჩარტერული ავიარეისით დღეს დილის 10 საათზე ჩამოფრინდება, დასავლეთ საქართველოსკენ ავტობუსით გაემართება და წყალტუბოში, სასტუმრო "სპაოტელში" დაბინავდება.

დღესვე, 20 საათსა 30 წუთზე დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში "ნეფთჩის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის, **ტარლან ახმედოვის** პრესკონფერენცია გაიმართება, "ნეფთჩის" ვარჯიში კი 21 საათზე დაიწყება. "ნეფთჩის" მთავარი მწვრთნელი **ბუიუქალა გაჯიევი** კვლავ შეუძლოდაა და თავის გუნდს საქართველოში ვერ მოჰყვება.

"ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი ჭიაბრიშვილი** მედიის წარმომადგენლებს 19 საათსა და 30 წუთზე, მისი გუნდი კი 20 საათიდან ივარჯიშებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სიტუაცია

# ნდობა იყოს და გოლებიც იქნება

**მაშინ, როცა საქართველოში კარგი ფეხბურთელების დეფიციტია, 24 წლის რატი წინამძღვრიშვილი უგუნდოდ არის.**

**ალბათ ბევრს ახსოვს მისი გოლები და თვალისმომჭრელი თამაში ბილისის "ამერის" შემადგენლობაში. როცა გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი უმცროსი ნოდარ ახალკაცი იყო, წინამძღვრიშვილი რამდენიმე ნაკრებში თამაშობდა, ასაკობრივებშიც და ეროვნულშიც. ყოველივე ეს რამდენად სწორი იყო, ამაზე ახლა ნულარ შევჩერდებით, მთავარი ხომ ნიჭიერი ფეხბურთელის სარბიელზე გამოსვლაა...**

როცა რატი ჯერ კიდევ "ამერში" იყო და თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა მისი "პანათინაიკოსში" გადასვლა, პირველად მაშინ უმუხთლა ბედმა – მუხლის ჯვარედინა იოგები გაუწყდა. წინამძღვრიშვილი მძიმე ტრავმის შემდეგ მომჯობინდა, მაგრამ განაახლა თუ არა თამაში, ისევ იგივე ტრავმა მიიღო: ამასობაში "ამერიც" დაიშალა.

რატის ამერელობის დროს ყველამ იცოდა, რომ "ზესტაფონის" პრეზიდენტ **ილია კოკაიას** მისი აყვანა სურდა. "ამერის" დაშლის შემდეგ საქმე იოლად გაიჩარხა, წინამძღვრიშვილი ფეროელთა გუნდში გადავიდა, "ზესტაფონის" დახმარებით რატის ოპერაცია ბელგიაში გაუკეთეს და ამის შემდეგ იგი ხელახლა გახდა ფეხბურთელი.

აგრესიულად მოთამაშე ცენტრფორვარდი, ძლიერი დარტყმით, გოლის შეგდება თავურითაც რომ ეხერხება, ახმახი, ათლეტური და ორთაბრძოლებში საკმაოდ ძლიერი – "ზესტაფონი" ელოდა, რომ რატი ამ ყველაფერს კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა, ისე აფეთქდებოდა, რომ...

არიან ფეხბურთელები, სპეციფიკურ მიდგომას რომ საჭიროებენ. წინამძღვრიშვილი "ამერში" დარსაძის მწვრთნელობის დროს მივიდა. მანამდე ოქროყანიდან დადიოდა თბილისში ფეხბურთის სათამაშოდ. რატი საკუთარ თავს ქმნიდა, "ამერში" **გიორგი ჩიხრაძე** რომ დაინიშნა მთავარ მწვრთნელად, წინამძღვრიშვილმაც მაშინ ითამაშა თავისი საუკეთესო მატჩები. 2006 წელს "ამერმა" პირველად რომ მოიგო საქართველოს თასი, წინამძღვრიშვილმა ეფექტური გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც მიითვალა, გუნდს თასი 18 წლისამ მოაგებინა...

*"თავიდან ყველაფერი კარგად წამივიდა "ზესტაფონშიც", არცთუ ცოტა გოლი გამქონდა მაშინაც კი, როცა შეცვლაზე შევდიოდი. "ზესტაფონში" მწვრთნელი რამდენჯერმე შეიცვალა, ბოლოს უკვე ისე მოხდა, რომ სამატჩო განაცხადშიც აღარ შევყავდი მწვრთნელს, ასე გაგრძელდა ნახევარი სეზონი და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ "ზესტაფონმა" ტრანსფერზე დამაყენა. ჩემი ავსტრიელი აგენტის მეშვეობით შვედურ "მიოლდეში" მივედი, ამხანაგურ შეხვედრებში გოლებიც გავიტანე, იქაურმა გაზეთებმა ინტერვიუც ჩამომართვეს, თითქოს ყველაფერი 100 პროცენტით გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მერე მითხრეს, "მიოლდემ" ამ ეტაპზე საერთოდ გადაიფიქრა ფეხბურთელების ყიდვაო"*, – ამბობს წინამძღვრიშვილი.

ზუსტად ვერ გეტყვით, რა ფასი დაადო "ზესტაფონმა" წინამძღვრიშვილის ტრანსფერს, არაოფიციალური წყაროების ცნობით კი ფეროელები ამ ფეხბურთელში ყველასათვის მისაღებ თანხას ითხოვენ. რატი რომ ახლა უგუნდოდაა, მიზეზი ალბათ სხვა რამე უნდა იყოს – ისეთმა მწვრთნელმა უნდა წაიყვანოს თავის გუნდში, ვინც მის შესაძლებლობებს კარგად იცნობს და ვინც მას დროს მისცემს.

*"დამიჯერეთ, ძალიან ძნელია ისეთ სიტუაციაში თამაში, როცა გეუბნებიან, აი, ხომ შეგიყვანა შეცვლაზე, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეო. როცა ვატყობ, რომ მწვრთნელი მენდობა და მისგან მხარდაჭერას ვგრძნობ, უფრო გულიანად ვვარჯიშობ და ვთამაშობ. ნდობის ფაქტორი ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია"*, – გვითხრა წინამძღვრიშვილმა და ისიც დააყოლა, ახალ გუნდში რომ გადავალ, ერთ თვეზე მეტი არ დამჭირდება ოპტიმალურ ფორმაში შესასვლელად და როგორც კი სათამაშო პრაქტიკა მექნება, გოლების გატანასაც დავიწყებო.

წინამძღვრიშვილი ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობს, აქვს იმის უფლება, რომ "ზესტაფონის" მეორე გუნდში ივარჯიშოს, მაგრამ სხვა გზა აირჩია. ის მართლაც სხვანაირია, ისევე როგორც მეტ-ნაკლებად ყველა ნიჭიერი ფეხბურთელი.

ვფიქრობ, რატი კიდევ იმსახურებს შანსს, თუნდაც იმიტომ, რომ კარგი ფეხბურთელების დეფიციტია.

**დავით თავართქილაძე**



რატი წინამძღვრიშვილი (მარცხნივ)

● ტორპედო

# გია გეგუჩაძე: გადახალისება გვესაჭიროება

**ქუთაისის „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე გუნდის გადახალისებას იწყებს და ნიჭიერ ფეხბურთელებს ეძებს.**

*"ევროპის ლიგის თამაშებს აბსოლუტურად განსხვავებული ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის კი ძალიან ბევრს ნიშნავდა. ამ მატჩებში ჩვენ გაცილებით მეტს ვიძენთ, ვიდრე თუნდაც ძლიერ მონინაალმდეგესთან საკონტროლო შეხვედრაში.*

*...ყაზახეთში კარგი თამაში ვერ ვაჩვენეთ და უამრავი ნაკლი დავინახეთ. ალბათ, ყველაზე მთავარი ესაა: ზოგიერთი ფეხბურთელი ევროთასებზე ხშირად მონაწილეობდა, მაგრამ უამრავი ახალგაზრდაც გვყავდა, გუნდს გამოცდილება დააკლდა და საბოლოოდ, ასეთ დონეზე უთამაშებლობა თვალშისაცემი იყო. ალბათ, უსახური თამაშის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ეს იყო"*, – განაცხადა გეგუჩაძემ "ტორპედოს" პრესსამსახურთან ინტერვიუში.

ქუთაისელთა მთავარმა მწვრთნელმა გუნდიდან რამდენიმე წამყვანი მოთამაშის წასვლასა და გასასინჯ ფეხბურთელებზეც გააკეთა კომენტარი: *"მათი მადლიერები ვართ, რადგან გუნდის წარმატებაში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ, თუმცა ეს გადაწყვეტილება იმით იყო განპირობებული, რომ ამ ეტაპზე აქცენტი ახალგაზრდებზე გადავიტანეთ. კლუბისთვის უკეთესია ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელების მომზადება და მათთვის მეტი გასაქანის მიცემა.*

*აქტიურად ვმუშაობთ ნიჭიერი ფეხბურთელების მოსაძებნად. დღეისთვის ჩვენთან ვარჯიშობენ ყაზანის "რუბინი 2"-ის ცენტრალური მცველი ავთანდილ ბრაჭული, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრი გიორგი გაგნიძე და ნიკოლოზ აფაქიძე. გუნდთან ერთად ემზადება ყოფილი დინამოელი მამუკა ლომიძე, თუმცა ჯერ ვერ ვიტყვით, რომ ყველა გუნდის წევრია".*

რაც შეეხება "ტორპედოს" მოსამზადებელ გეგმებს: *"გავემგზავრებით შეკრებაზე, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით – სად. თუ ეს მოხერხდა, 29 ივლისიდან 4 აგვისტომდე საქართველოში ვივარჯიშებთ. დაიგეგმა საკონტროლო მატჩები: 23 ივლისს აზერბაიჯანულ „ყარაბახს" ვეთამაშებით, 27 ივლისს - ფოთის „კოლხეთს", 30 ივლისს - ბათუმის „დინამოს", 2 აგვისტოს - მარტვილის „მერანს", 5-ში კი - საჩხერის „ჩიხურას".*

სალორიაში, "ტორპედოს" ბაზაზე ძველი ბუნებრივი საფარი აიღეს და ამჟამად სადრენაჟო სისტემის გასწორებაზე მუშაობენ. გეგუჩაძე იმედოვნებს, რომ 1 სექტემბრამდე გუნდი ბაზაზე შესვლასა და ვარჯიშს შეძლებს.



გია გეგუჩაძე

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრანსფერი

# ლუქაშვილი კოლხეთში

**ფოთის "კოლხეთი" ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. დავით მახარაძის გაწვრთნილ გუნდში სასელექციო სამუშაოები დასრულებას უახლოვდება. "კოლხეთმა" საკმაოდ ბევრი საკონტროლო მატჩი ითამაშა და მწვრთნელსაც ჰქონდა იმის კარგი საშუალება, რომ მოთამაშეები შეერჩია დამდეგი სეზონისთვის.**

დღეიდან "კოლხეთი" ურეკში დაბინავდება. ფოთელებმა გურიის ამ დაბაში რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა უკვე გამართეს და იქაურობას შეჩვეულებიც არიან. მახარაძემ ურეკში 28 ფეხბურთელს მოუყარა თავი:

**მიქაბერიძე, ხარშილაძე, ბუბუტეიშვილი, კილასონია, იობაშვილი, ცხვიტარია, გაბუნია, წაბრია, ცხადაია, კობერიძე, ქებაძე, პავლიაშვილი, კვანტალიანი, გოგონაია, ბარამიძე, ქორჩილავა, კაკულია, ბაგაშვილი, მოსიაშვილი, ბუხაიძე, ხომასურიძე, ჩალაძე, ჩხეტიანი, ლუქაშვილი, დათუნაიიშვილი, ფარულავა, მეგრელიშვილი, ტყეშელაშვილი.**

ფოთელთა გუნდში ყველაზე საინტერესო სატრანსფერო სიახლე ალბათ **ვასილ ლუქაშვილის** გამოჩენაა. ის თავისებური ფეხბურთელია. თითქოს არაფერი აკლდა, ძალიან წინ რომ წასულიყო, თუმცა ასე არ მოხდა.

ლუქაშვილი გულშემატკივარს თბილისის "ვიტ ჯორჯიადან" უნდა ახსოვდეს - სწრაფი, აგრესიული, კარგი ალნაგობის, ჩინებული ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებული თავდამსხმელი, რომელსაც ასაკობრივ ნაკრებებშიც იწვევდნენ.

ლუქაშვილმა ვერ მოახერხა საქართველოს ჩემპიონატში ბევრი გოლის გატანა, "ვიტ ჯორჯია" კი მაშინ ერთ-ერთი მოწინავე გუნდი იყო საქართველოში და შიდაკონკურენციაც იქ მაღალი გახლდათ. ლუქაშვილისა და "ვიტ ჯორჯიას" გზები გაიყარა.

ფეხბურთელმა უცხოეთში სცადა კარიერის გაგრძელება. ლატვიური "დინაბურგი", მოლდოვური "დაჩია" და "ზიმბრუ" – ამ ყველაფრის შემდეგ ლუქაშვილი საქართველოში დაბრუნდა და ახლა "კოლხეთში" მოუწევს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება.

ლუქაშვილი 27 წლის გახლავთ, ფორვარდისთვის საჭირო არაერთი კარგი თვისება აქვს, მათ შორის მაღარ ბურთზე ბრძოლის უნარი. ვნახოთ, როგორ გააძლიერებს მახარაძის გუნდს ეს თავდამსხმელი...

**დავით თავართქილაძე**



ვასილ ლუქაშვილი

● ვიტ ჯორჯია

# თურქეთში 23 ფეხბურთელით

"ვიტ ჯორჯია" უკვე თურქეთის საკურორტო ქალაქ ბოლუშია, სადაც ორკვირიან შეკრებას გაივლის და თურქეთის პირველი ლიგის კლუბებთან ოთხ საკონტროლო მატჩს გამართავს.

ვეტერინართა მთავარმა მწვრთნელმა **მერაბ კოჭლაშვილმა** შეკრებაზე 23 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **ნიკა დაუშვილი, ნოდარ სვანაძე, ლევან ისერგიშვილი;**

მცველები: **დავით ხურცილავა, ჯემალ გოგიაშვილი, ლაშა კასრაძე, რევაზ ლანიაშვილი, გიორგი გეთიაშვილი, ბადრი ტეტუნაშვილი, გიორგი კალანდია, ოთარ ჯავაშვილი;**

ნახევარმცველები: **გიორგი ვასაძე, გურამ გურეშიძე, გიორგი ჯანელიძე, გიორგი კორიფაძე, შოთა დავლაშელიძე, ირაკლი ლიბრაძე;**

თავდამსხმელები: **ბესიკ ჩიმაკაძე, ბექა ზაქრაძე, გიგა ჯულელი, ელგუჯა ლობჯანიძე, ლევან კუხალეიშვილი, ნიკა ჯოლოხავა.**

**გურამ ადამაძე** და **ვახტანგ ჯაყელი**, რომლებიც ტრავმების შემდეგ სარეაბილიტაციო პროცესს გადიან, "ვიტ ჯორჯიას" შეკრების შემდეგ შეუერთდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სიონი

# გამარჯვება შეკრების წინ

"სიონმა" ურეკულ შეკრებაზე გამგზავრებამდე ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა – საგურამოს ბაზაზე თბილისის "ლოკომოტივს" ეწვია და მეტოქე 2:0 დაამარცხა. ორივე გოლი შეხვედრის პირველ ტაიმში გავიდა და თავი ორივეჯერ ბოლნისელთა ახალწვეულებმა გამოიჩინეს – 13-ე წუთზე ანგარიში **გიორგი მანწკავამ** გახსნა, 42-ეზე კი "ლოკომოტივის" კარი **გიორგი ჭედიამ** დალაშქრა.

"სიონის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ბობლიაშვილი, ორბელაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, ხუბუა, ჭედია, ნემსაძე, მანწკავა, ფეიქრიშვილი, ჭანკოტაძე, რ. ჯიქია.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ლობჟანიძე, უგულავა, ქუცურუა, მაჭავარიანი, გ. ოქროპირიძე, ხურციძე, ჯოჯუა.**

"სიონი" ურეკში დღეს გაემგზავრება და იქ 4-5 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ფეხბურთი

ლეგიონის უქმეები



დავით თარგამაძე კარპატელ მცველთა გარემოცვაში

# სეზონი ხურდება, ქართველებმა გატანა დაიწყეს

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში უკვე დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი და საქმეში ქართველ ლეგიონერთა ნაწილიც ჩაერთო.

დავიწყოთ რუსული პრემიერლიგით, რომლის პირველი ტურიც დღეს დასრულდება "კრასნოდარისა" და "რუბინის" მატჩით, დანარჩენ სასტარტო შეხვედრებში კი მხოლოდ ერთმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგამ" მოსკოვის "დინამოს" უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა, მასპინძელთა შემადგენლობაში კი შეუცვლელად ითამაშა **გია გრიგალავამ.**

მოსკოვის "სპარტაკმა" ვლადიკავკაზში "ალანიას" 2:1 სძლია, თუმცა **ჯანო ანანიძე** დედაქალაქელთა 18-კაციან განაცხადშიც კი არ ყოფილა. **ლევან ყენიას** "ზენიტმა" საკუთარ მოედანზე 2:0 აჯობა "ამკარს". სანკტპეტერბურგელთა რიგებში სულ ახლახან გადასულ ქართველ ნახევარმცველს ახალი კლუბის შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია.

გადავინაცვლოთ უკრაინაში, სადაც უკვე მეორე ტურის შეხვედრები მიილია. უკვე გაცნობეთ, რომ პარასკევს "კრივბასმა" "ჩერნომორეცს" **ჯაბა კანკავას** გოლით მოუგო. ჩვენი თანამემამულეები ყურადღების ცენტრში ამის შემდეგაც მოხვდნენ.

ქართველთა დაპირისპირება არ შედგა ლვოვში, სადაც "კარპატიმ" "ილიჩევეცს" უმასპინძლა და 1:5 განადგურდა. მასპინძელთა რიგებში არ უთამაშია **მურთაზ დაუშვილს**, რომელიც სათადარიგოთა სკამზე იჯდა. სამაგიეროდ, სტუმართა შორის თავი გამოიჩინეს **თორნიკე ოქრიაშვილმა** და **დავით თარგამაძემ** – ორივემ საგოლე პასი შეასრულა. ოქრიაშვილმა მოედანზე 90 წუთი გაატარა, თარგამაძე კი თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო.

კიევურ დერბიში "არსენალი" "დინამოს" კი გაუძალიანდა, მაგრამ მეტოქის მაღალმა კლასმა მაინც თავისი გაიტანა და **სანდრო კობახიძის** გუნდი 0:1 დამარცხდა. "არსენალის" ქართველმა ნახევარმცველმა სრულად ითამაშა და მატჩის მიწურულს ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო – მისი დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

"ზარიამ" დონეცკში "მეტალურგს" 2:1 მოუგო. **ჯაბა ლიპარტია** "ზარიას" ძირითად შემადგენლობაში იყო და 82-ე წუთზე შეცვალეს.

მოლდოვაში კიშინიოვური დერბი გაიმართა. "ზიმბრუმ" პირველი ტაიმი **ლევან კორღალიძის** ორი ზუსტი თერთმეტმეტრიანით მოიგო, მაგრამ შესვენების შემდეგ უპირატესობა ვეღარ შეინარჩუნა და 2:3 დამარცხდა.

ფინეთში "ინტერ ტურკუმ" სტუმრად "კუოპიო" 6:0 გაანადგურა. ამ ექვსიდან ერთი გოლი **ირაკლი სირბილაძის** ანგარიშზეა. მან შეხვედრის 73-ე წუთზე თავისი გუნდის მეოთხე გოლი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გია გრიგალავა (მარცხნივ) კევინ კურანის წინააღმდეგ

ჩვენებური უცხოეთში

# ჟორდანია გაყიდვებზეც ამუშავდა

**მერაბ ჟორდანია წარმატებული პრეზიდენტი რომ გამოდგა არნემის "ვიტესისთვის", ფაქტია – გუნდმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, ერედივიზიეში ერთ-ერთი მაჩანჩალა იყო, ახლა კი ევროპა ლიგაზე თამაშობს.**

ჟორდანიამ კარგი ტრანსფერები ქართველი ფეხბურთელებითაც განახორციელა – **გურამ კაშია** "ვიტესის" კაპიტანია, **გიორგი ჭანტურია** და **ვაკო ყაზაიშვილი** კი წინ მიიწევენ და მალე ალბათ ისინიც "ვიტესის" საკვანძო ფეხბურთელები გახდებიან, თუ მანამდე სხვა, უფრო ლონიერ გუნდში არ გადავლენ.

საინტერესოა, ფეხბურთელების გაყიდვაშიც რამდენად წარმატებული იქნება ჟორდანია. ერთ-ერთი ჰოლანდიური გამოცემა იუწყება, რომ "ვიტესის" ქართველმა პრეზიდენტმა კოტდიუვარელ **ვილფრედ ბონის** 14 მილიონი ევრო დაადო. ბონი 23 წლის თავდამსხმელია და მისით მდიდარი რუსული კლუბების გარდა ლონდონის "ჩელსიცაა" დაინტერესებული.

ჟორდანიამ სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთი ვიტესელი წარადგინა – 23 წლის მცველი **ალექსანდრ ბიუტნერი,** ვისაც კონტრაქტი "ვიტესთან" ერთ წელიწადში უმთავრდება – 4,5 მილიონი ევრო, ასეთია "ვიტესის" ფასი.

**დავით თავართქილაძე**



ქართული ბიბლიოთეკა

მერაბ ჟორდანია

სამზადისი

# გორელები მარტვილში



გიორგი ქარქუზაშვილი

მარტვილის "მერანში" გორელი ნახევარმცველის, **ნოდარ ნოზაძის** გადასვლის შემდეგ, იქ გორის "დილას" კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი, ცენტრალური მცველი **გიორგი ქარქუზაშვილი** გააგრძელებს კარიერას. ქარქუზაშვილი გასული სეზონის პირველ წრეში "დილას" კაპიტანი იყო, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობის მიერ გუნდის საფუძვლიანი რეორგანიზაციის მერე სხვების მსგავსად უგუნდოდ დარჩა.

*"მათ შორის, რომელ გუნდებში გადასვლის პერსპექტივაც გამიჩნდა, "მერანი" საუკეთესო ვარიანტი იყო. შანსი მქონდა, უცხოეთშიც მესინჯა ბედი, ოღონდ მხოლოდ გასინჯვის მერე. მოგეხსენებათ, გაზაფხულზე "დილაში" თითქმის აღარ მქონდა სათამაშო პრაქტიკა, "მერანში" კი იცოდნენ ჩემზე და ამიტომ არსებულ ვარიანტთაგან ყველაზე რეალური წინადადება ავარჩიე. მარტვილურ კლუბთან ხელშეკრულებაზე ხელს ამ დღეებში მოვაწერ. იგი სავარაუდოდ ნახევარწლიანი იქნება. ამჟამად მარტვილშივე ვვარჯიშობ. ძალიან კმაყოფილი ვარ, დახვედრით, მწვრთნელთან ურთიერთობით, გუნდის საგაისო ამბიციით და მიზნებით",* — გვითხრა ქარქუზაშვილმა.

მარტვილში შარშან კიდევ ერთი გორელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი **გურამ სამადაშვილი** თამაშობდა, თუმცა ტრავმის შემდეგ მან "მერანი" დატოვა და ამჯერადაც უგუნდოდაა. სეზონის მიწურულს ასევე უგუნდოდ დარჩა "დილას" შემტევი ნახევარმცველი **რომან გოგინაშვილიც**. ადრე მოლდოვის, ბელარუსის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სხვადასხვა კლუბებში მოთამაშე ამ 28 წლის ფეხბურთელს კარიერის საუკეთესო წლები ბრესტის "დინამოში" აქვს გატარებული, რომლის შემადგენლობაშიც ქვეყნის პრიზიორი გახდა და თასსაც დაეუფლა.

*"ევროპის ლიგის მოსამზადებელი ეტაპის დაწყებისას დიდი იმედი მქონდა, რომ "დილაში" დამტოვებდნენ, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა. ვგრძნობ, რომ კარგ ფორმაში ვარ და მჯერა, უმაღლესი ლიგის რომელიმე კლუბში აუცილებლად გამოვადგები, თუმცა ამ ეტაპზე ისევ უგუნდოდ ვრჩები",* — თქვა გოგინაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**

ლეგიონერი

# აი, დებიუტი

## ალავერდაშვილის დუბლი და საგოლე

"ლელოს" შაბათის ნომერში ვწერდით, რომ ლიტვის ჩემპიონატის აუტსაიდერ "ბანგაში" 24 წლის ქართველი თავდამსხმელი **გიორგი ალავერდაშვილი** ჩაირიცხა.

შაბათს გიორგიმ კლუბის მაისურით სადებიუტო შეხვედრა ისე ჩაატარა, სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდა: "ბანგამ" მე-20 ტურის გასვლით მატჩში "დაინავა" 4:0 დაამარცხა, ალავერდაშვილმა კი მეტოქის კარი ორჯერ აილო, საგოლე გადაცემაც მიითვალა და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. 42-ე წუთზე გიორგის დარტყმით "ბანგა" 3:0 დააწინაურა, 90-ე წუთზე კი დუბლი შეასრულა. ძირითადში შეუცვლელად ითამაშა ქართველმა მცველმა **ნიკა მგელაძემ, გიორგი ნიქაბაძე** კი მოედანზე 79-ე წუთზე გამოჩნდა.

ამ გამარჯვებით, "ბანგამ" 20 ტურის შემდეგ 18 ქულა დააგროვა, ლიტვის 10-გუნდიან ჩემპიონატში მე-8 ადგილზე გადაინაცვლა და კონკურენტი "ტაურუსი" 2 ქულით ჩამოიტოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

უნივერსიადა

# თსუ-მ კორდობაში ნახევარფინალამდე მიაღწია

ფუტსალში საქართველოს თასის მფლობელი თბილისის თსუ ესპანეთის ქალაქ კორდობაში მიმდინარე უნივერსიადის ნახევარფინალში გავიდა.

**ბესო არველაძის** გაწვრთნილებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს, მოუგეს მასპინძელ კორდობელ და ლირველ სტუდენტებს, დამარცხდნენ ფინელებთან და 1/4-ფინალში გავიდნენ.

პოლონეთის წარმომადგენლებმა თსუ-ს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს - 10:3, მაგრამ ქართველებმა ნახევარფინალში ციმბირის უნივერსიტეტის (რუსეთი) ბარიერი ვეღარ დაძლიეს და 2:3 დამარცხდნენ.

მესამე ადგილისთვის მატჩში თსუ ისევ მასპინძელ კორდობას უნივერსიტეტს შეხვდება, რომელსაც ჯგუფში 6:5 სძლია.

უნივერსიადის გამარჯვებულს კი მინიოსა (პორტუგალია) და ციმბირის უნივერსიტეტის ფინალური შეხვედრა გაარკვევს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# არსენალმა ტურნე დაიწყო



გზად მალაიზიისკენ: არსენალელები მშვენიერ ხასიათზე არიან

“არსენალი” აზიურ ტურნეში გაემგზავრა, სადაც **არსენ ვენგერს** ხუთი ტრავმირებული ფეხბურთელი - **ჯეკ უილშირი, ბაკარი სანია, ემანუელ პრიმპონგი, ტომაშ როსიცკი** და **ჰენრი ლენსბერი** დააკლდება. გუნდთან ერთად არ იქნებიან **ლუკას პოდოლსკი, პერ მერტეზაკერი, რობინ ვან პერსი, ლორან კოშელნი** და **ოლივიე ჟირუ** - ამ ფეხბურთელებმა ვარჯიში მხოლოდ შაბათს განაახლეს და სათანადო ფორმაში ჯერ კიდევ არ არიან. “მეთოფეთა” განაცხადი სრულად ასე გამოიყურება: **ვიტო მანონე, იგნასიო მიკელი, ჩაკს ანეკე, თომას აისფელდი, მარუან შამახი, რიო მიაიჩი, კრეიგ ისტმონდი, ნიკო იენარისი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ფრანსის კოკლენი, კირან გიბსი, ალექს სონგი, ლუკაშ ფაბიანსკი, კარლ ჯენკინსონი, თეო უოლკოტი, ვოიცეხ შჩესნი, იოან ჯურუ, ბენიკ აფობე, ტომას ვერმალენი, აბუ დიაბი, ანდრე სანტოსი, ჟერვინიო, მიკელ არტეტა, კაილ ბარტლი.**

ფრანგმა სპეციალისტმა “არსენალის” საკლუბო სატელევიზიო არხს ინტერვიუ მისცა, სადაც გუნდში შექმნილ მდგომარეობაზე ილაპარაკა.

- მალაიზიაში თბილ დახვედრას ველოდებით, რადგან ცხადია, რომ ჩვენი კლუბი ამ რეგიონში ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე ოდესმე. მათი გულების დაპყრობა ჩვენ ალბათ შარშანდელ სეზონშიც მოვახერხეთ. “არსენალი” ყოველთვის დარჩება თავისი პრინციპების ერთგული. ეს ნიშნავს, რომ კლუბი მხოლოდ საკუთარ ფინანსებზე იქნება დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოვვარდებით ჩვენივე რიტმიდან. მყარად მომუშავე ფინანსური სისტემა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მჯერა, რომ ფინანსური ფეარ პლეი სწორედ ამისთვის იქმნება. თუკი ეს სისტემა რეალურად იმუშავებს, მე უეფას დიდ დამფასებლად გადავიქცევი. ჩემი აზრით, საფეხბურთო კლუბებმა ზუსტად ისე უნდა იმუშაონ, როგორც სხვა კომერციულმა ორგანიზაციებმა – მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით. ის, რომ ზედიზედ მე-15 წელია ჩემპიონთა ლიგაში ვხვდებით, იმის დამადასტურებელია, რომ ამ მოდელით შეიძლება წარმატებული კლუბის არსებობა.

ამ მომენტისთვის წინასასეზონო მზადების კლასიკურ ეტაპს გავდივართ. ძალიან ბევრს ვშრომობთ, კარგ განწყობაზე ვართ და მომავალ მატჩებს სულმოუთქმელად ველოდებით. ჯერ მალაიზიაში ჩავალთ, იქიდან ჩინეთში და ბოლოს ჰონკონგს ვესტუმრებით. ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით ამჟამად მხოლოდ 70%-ზე ვართ და ეს ბუნებრივიცაა. მთავარია, რომ ვარჯიშის დაწყებიდან ორი კვირის თავზე სწორ გზას ვადგავართ.

რატომ შევიძინეთ ოლივიე ჟირუ? იმიტომ, რომ ის ნამდვილი ცენტრფორვარდი და უბრალოდ ჭკვიანი ფეხბურთელია. პოტენციალის ჩვენება მან ცოტა გვიან დაიწყო, მაგრამ მაინც მჯერა, რომ შეუძლია ჩვენს სტილს შეეწყოს და შემადგენლობით ვარირების მეტი საშუალება მომცეს. ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია, კარგად თამაშობს თავით. იმედია, ჩვენთან იმის 100%-ს აჩვენებს, რაც შეუძლია.

ჩვენ ჯერ კიდევ ვცდილობთ ორიოდე ფეხბურთელის გადაბირებას. ეს პროცესი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი მოთამაშე დაგვტოვებს. დიახ, იქამდე ვიდრე ვიყიდით, უნდა გავყიდოთ. ჯერჯერობით კი სატრანსფერო ბაზარი ძალიან წყნარია. მსგავსი რამ არც მახსენდება. ვინ წავა და ვინ მოვა ამაზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

ტრავმირებულებს რაც შეეხებათ... სანიას გამოჯანმრთელების საქმე სწრაფად მიდის. ის გუნდთან ერთად ვარჯიშს მხოლოდ აგვისტოში შეძლებს. დიაბი უკვე კარგად არის და ის აზიაში ჩვენთან ერთად იქნება. უილშირი როდის შეძლებს ფეხბურთის თამაშს ამის პროგნოზისგან თავს შევიკავებ. მისი მდგომარეობაც სწრაფად მიდის უკეთესობისკენ. ჯეკს აღარც მუხლი აწუხებს და აღარც კოჭი. როსიცკი მოედანზე დაბრუნებას ყველაზე ადრე 6-8 კვირაში შეძლებს. მოგეხსენებათ, მყესების პრობლემამ ის ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატზე შეაწუხა. ემანუელ პრიმპონგი სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის პირველ დღეებში შეუდგება სრული დატვირთვით ვარჯიშს.

ჩელსი



მარიანო რივერა, პეტრ ჩეხი და დავიდ ლუისი

# უქმეების ამბავი

“ჩელსიმ” სიეტლი დატოვა და შაბათს საწვრთნელი ბანაკი ბეისბოლის კლუბ “ნიუ იორკ ჯაიანთსის” ბაზაზე დასცა. გუშინ დილას გუნდს **ჯონ ტერი** და **რაულ მეირელეში** შეუერთდნენ. სამაგიეროდ, **რობერტო დი მატეომ** ლონდონში დააბრუნა **ტოდ კეინი, პატრიკ ბემფორდი** და **ჯორჯ სიველი**. ახალგაზრდა ფეხბურთელები ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშისთვის მზად არ აღმოჩნდნენ. “ლურჯების” წვრთნას თვალს ადევნებდა ბეისბოლის ლეგენდა, “ნიუ იორკ იანკისის” 42 წლის ვეტერანი **მარიანო რივერა**. ის ამჟამად ტრავმირებულია და რაკი თავისუფალი დრო გამოუჩნდა, უსაქმურობას “ჩელსის” ვარჯიშის ყურება ამჯობინა. ნანახით რივერა კმაყოფილი დარჩა. აი რა თქვა მან: *“კარგია, რომ ნიუ იორკში ისეთი დიდი გუნდი ჩამოვიდა, როგორიც “ჩელსია”. შესანიშნავია ამხელა ვარსკვლავების ყურება. მიკვირს, როგორ ახერხებენ ფეხით ასე ზუსტად დარტყმას და იმას, რომ ერთმანეთს ბურთი მოძრაობაში გადასცენ. ამის გაკეთება ხელით მეც შემიძლია, მაგრამ ხელით ამას ხომ ყველა გონებაშეზღუდული მოახერხებს. ვერ წარმომიდგენია “იანკისის” არენაზე ფეხბურთი როგორ უნდა ითამაშონ. სწორედ ამიტომ ველოდები “ჩელსის” მატჩს ასე მოუთმენლად”.*

შაბათს ბრაზილიური “ინტერნასიონალის” ნახევარმცველმა **ოსკარმა** “სქაი სპორტსს” დაუდასტურა, რომ “ჩელსის” ექიმებმა მას სამედიცინო შემოწმება უკვე ჩაუტარეს, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არ აქვს. *“ოლიმპიური თამაშების დასრულებას დავუცდი და საკუთარ მომავალს მხოლოდ ამის მერე გადავწყვეტ. სხვებივით მეც ვოცნებობ ევროპაში თამაშზე და ინგლისის პრემიერლიგა მეც ძალიან მომწონს,”* – ამბობს ის. ფეხბურთელის შეძენა “ჩელსის” 25 მილიონ ფუნტამდე დაუჯდება.

ამბები

## ტოტენჰემმა მოდრიჩი დააჯარიმა



“ტოტენჰემის” 26 წლის ნახევარმცველი **ლუკა მოდრიჩი**, როგორც ჩანს, უკვე შანტაჟზე გადავიდა. ის კლუბისგან მადრიდის “რეალში” გაშვებას კატეგორიულად მოითხოვს. ხორვატმა ფეხბურთელმა გუნდთან ერთად ამერიკულ ტურნეში გამგზავრებაზე უარი თქვა, რის გამოც ის 100 ათასი ევროთი დააჯარიმეს. საქმეს ის ართულებს, რომ “სამეფო კლუბი” უარზეა ლონდონელთა მიერ მოთხოვნილი 50 მილიონი ევრო გადაიხადოს. “დეზები” კი თავის მხრივ წამითაც არ ფიქრობენ ფასის დაწევაზე. *“ვფიქრობ, რომ მოდრიჩი შეცდომას უშვებს. თავისი ქმედებებით ის მხოლოდ ამძიმებს სიტუაციას. პრეზიდენტი დენიელ ლევი მისმა საქციელმა გააცოფა,”* – განუცხადა AS-ს **ანდრე ვილაშ ბოაშმა**. “ტოტენჰემი” ოკეანის გაღმა “ლოს ანჯელეს გალაქსის”, “ნიუ იორკ რედ ბულსა” და “ლივერპულს” დაუპირისპირდება.

## გრანდიოზული შეთავაზება სილვას

“მანჩესტერ სიტის” 26 წლის ნახევარმცველი **დავიდ სილვა** “ქალაქელებთან” ახალ, 5-წლიან, გაუმჯობესებულ კონტრაქტს გააფორმებს, რომლის თანახმად მისი კვირეული ანაზღაურება 60 ათასით გაიზრდება და 190 ათას ფუნტს გაუტოლდება. ამ მონაცემით ის **იაია ტურეს, კარლოს ტევესსა** და **სერხიო აგუეროს** გაუთანაბრდება. კლუბმა ფეხბურთელს ხელშეკრულების გადახედვა მას შემდეგ შესთავაზა, რაც ცნობილი გახდა, რომ დავიდის მოხიბვლას მადრიდის “რეალი” ცდილობდა. მართალია, ესპანელი თავად აცხადებდა, რომ ლა ლიგაში დაბრუნება არ აინტერესებდა, მაგრამ ეშმაკს ხომ არ სძინავს. ფეხბურთელებს არაერთხელ და ორჯერ შეუცვლიათ ჩვენება. Goal.com-ის ცნობით კონტრაქტზე ხელისმოწერა უახლოეს დღეებში იგეგმება.

ასევე 5 წლით გააგრძელებს თანამშრომლობას “მანჩესტერ სიტისთან” **ვენსან კომპანიც**. “სანის” მტკიცებით, 26 წლის ბელგიელის ანაზღაურება კვირაში 130 ათასი ფუნტი გახდება.

## ფერგი გლეიზერებს იცავს

“მანჩესტერ იუნაიტედის” მთავარმა მწვრთნელმა **ალექს ფერგიუსონმა** კლუბის მეპატრონეთა მხარე სახალხოდ დაიჭირა და განაცხადა, რომ გლეიზერების ოჯახი სატრანსფერო საქმიანობაში მას ყოველთვის გვერდით ედგა და არასოდეს ყოფილა ერთი მცდელობაც კი, რომ ვინმეს მის საქმეში ჩარევა ეცადა. *“თავს ნამდვილად ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. თავიანთ საქმეს გლეიზერები დიდებულად უძღვებიან. პრეტენზია მათთან ნამდვილად არ მაქვს. ფინანსურ მხარეს რაც შეეხება, ფულს ისინი ყოველთვის ჭკვიანურად ხარჯავდნენ,”* – განუცხადა “სქაი სპორტსს” სერ ალექსმა. 7 წლის განმავლობაში გლეიზერებმა “იუნაიტედის” შესაძენად აღებული ვალიდან 500 მილიონ ფუნტზე მეტი გადაიხადეს და დარჩენილი ვალის გადახდაც მხოლოდ დროის საკითხია.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ამხანაგური მატჩი. ლივერპული

# პატარა ბიჭის მარტივი გოლი



ლივერპულის წინააღმდეგ ტორონტოს შემადგენლობაში გერმანელმა ტორსტენ ფრინგსმა ითამაშა

| ტორონტო–ლივერპული | 1:1 |
|---|---|

**ლივერპული (I ტაიმი):** ჯონსი, უისდომი, ხოსე ენრიკე, სამა, კარაგერი, სპირინგი, ადამი, იბე, აკვილანი, პაჩეკო, ეკლსტონი

**II ტაიმი:** გულაჩი, ფლენეგანი, რობინსონი, შკრტელი, უილსონი, ადორჯანი (ლუკასი 74), შელვი, სუსო, სტირლინგი, ჯ. კოული, მორგანი ბოლომდე სკამზე დარჩნენ: ვორდი, მაკლაფლინი, სმიტი

**გოლები:** 1:0 ამარივკა (58), 1:1 მორგანი (69)

“ლივერპული” ბოლო წლების ყველაზე ძლიერ კანადურ საფეხბურთო კლუბ “ტორონტოს” დაუპირისპირდა. რაკი სტუმრებს ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები აკლდნენ, **ბრენდან როჯერსმა** თავის გამოჩენის შანსი ძირითადად დუბლების წევრებს მისცა. გუნდებმა სახიფათო მომენტები დებიუტშივე გაცვალეს, თუმცა მალევე მშვიდ რიტმში განაგრძეს ბრძოლა. ინგლისელებმა ამით ისარგებლეს და ბურთზე კონტროლი დაამყარეს. ყველაზე აქტიური ამ წუთებში ესპანელი მარცხენა გარემარბი **დანიელ პაჩეკო** გახლდათ. 34-ე წუთზე **ხოსე ენრიკემ** გაამწვავა ვითარება. მისი ჩაწოდება მცველს ხელზე მოხვდა, მაგრამ მსაჯს ამაზე რეაქცია არ ჰქონია. მეორე ტაიმი “ლივერპულმა” სულ სხვა შემადგენლობით დაიწყო. თამაში გამოაცოცხლეს **შელვიმ, სტირლინგმა** და **სუსომ**. 59-ე წუთზე “ლივერპულის” ცენტრალური ნახევარმცველები და მცველები ჩავარდნენ, რითაც კანადელებმა ისარგებლეს და ანგარიში გახსნეს. სტუმართა მეკარემ პირველი დარტყმა მოიგერია, თუმცა დამატებას ველარაფერი მოუხერხა. იქამდე, ვიდრე ანგარიში გათანაბრდებოდა, გატანა შეეძლო სუსოს, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. გოლი კი ასე გავიდა: **ადამ მორგანმა** მშვენიერი პასი მიილო ცენტრიდან და ვიდრე კანადელი მცველები დაკეტავდნენ, ახალგაზრდა ფეხბურთელმა ნელა, მაგრამ ეშმაკურად დაარტყა. ჩვენი ბრიტანელი კოლეგების თქმით, ეს იყო ძალიან მარტივი, მაგრამ ეფექტური გოლი, ზუსტად ისეთი, როგორიც მერსისაიდელებს შარშანდელ სეზონში ყველაზე მეტად აკლდათ. მათი მტკიცებით, 18 წლის ფეხბურთელი (1994 წლის 21 აპრილსაა დაბადებული) ახალ სეზონში ენფილდელებს სერიოზულ დახმარებას გაუწევს.

## დრაქსლერი მერსისაიდზე?

დაბოლოს, “ლივერპულზე” წერას “კიკერის” ინფორმაციით დავასრულებთ. ავტორიტეტული გერმანული გამოცემის მტკიცებით, “წითლები” “შალკედან” 18 წლის ცენტრალური ნახევარმცველის **იულიან დრაქსლერის** შეძენას გეგმავენ და მზად არიან “ხუმარებს” 20 მილიონი ევრო გადაუხადონ. დრაქსლერი გელზენკირხენელთა რიგებში შარშან გამოჩნდა, თუმცა **იოახიმ ლიოვი** მისით უკვე დაინტერესდა და ევროპის ჩემპიონატის წინ გაფართოებულ სიაშიც კი შეიყვანა.

## უცხოური ფეხბურთი

ბაიერნი

# ალაბა და რაფინია დაშავდნენ

### ავსტრიელს 2-თვიანი მკურნალობა დაუნიშნეს




დავიდ ალაბამ ტრავმა ნაპოლისთან ტესტმატჩში მიიღო

პარასკევს „ნაპოლისთან" გამართული ტესტმატჩი „ბაიერნს" ძვირად დაუჯდა – ჯერ ერთი, მიუნხენელები 2:3 დამარცხდნენ და გარდა ამისა, ხსენებულ შეხვედრაში მარცხენა მცველი **დავიდ ალაბა** დაუშავდათ. რეკორდმაისტერის ექიმებმა 20 წლის ავსტრიელს შაბათს დეტალური გამოკვლევა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ ალაბა „ბაიერნს" მინიმუმ თვენახევარი ვეღარ დაეხმარება, რაც ბავარიელებისთვის სერიოზული დარტყმაა, რადგან მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** ალაბას ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებდა. „ბაიერნის" ექიმები დღეს გადაწყვეტენ, გაუკეთონ თუ არა დაშავებულს ოპერაცია.

ალაბასთან ერთად, ტრავმირებულია ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **რაფინია**, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰაინკესის შესაძლო გეგმა, **ფილიპ ლამი** დროებით მარჯვნივ გადაეყვანა, ხოლო მარცხნივ რაფინიას ეთამაშა, უკვე ჩაშლილია. მიუნხენური კლუბის ოფიციალური განცხადებით, ბრაზილიელი ვერც გერმანიის თასის პირველ ეტაპზე („რეგენსბურგი"-„ბაიერნი", 20 აგვისტოს) იასპარეზებს და რეკორდმაისტერს ბუნდესლიგის პირველ ტურშიც („ფიურტი"-„ბაიერნი", 25 აგვისტოს) ვერ დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ რაფინიაც „ნაპოლისთან" შეხვედრაში დაშავდა, ოღონდ, ალაბას შემთხვევისგან განსხვავებით, მის ტრავმაში ბრალი არცერთ ნეაპოლელ ფეხბურთელს არ მიუძღვის. „ბაიერნის" სამედიცინო შტაბის განცხადებით, რაფინია ლაზარეთში მინიმუმ ერთ თვეს დაჰყოფს.

„ბაიერნი" დღეს ჩინეთში, ხუთდღიან ტურნეზე მიდის და ამრიგად, **ბასტიან შვაინშტაიგერისა** და **ფილიპ ლამის** შემდეგ, ალაბა და რაფინიაც მიუნხენში რჩებიან. რეკორდმაისტერი ჩინეთში ორ ტესტმატჩს გამართავს: სამშაბათს პეკინში „გოუანს" შეხვდება, ხოლო ორი დღის შემდეგ გვანჯუში „ვოლფსბურგს" გაეჯიბრება.

დაპირისპირება

# ბაიერი ბაიერნის წინააღმდეგ

### ...იმიტომ, რომ ჰაინკესს ლარს ბენდერი მოუნდა!



ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი და იუპ ჰაინკესი

როცა საქმე თავისი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელს ეხება, ლევერკუზენის „ბაიერის" შეფ **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერს** იუმორისთვის აღარ სცალია: პარასკევს გაირკვა, რომ მიუნხენის „ბაიერნის" ბოსები ლევერკუზენელთა 23 წლის საყრდენი ნახევარმცველის, **ლარს ბენდერის** გადაბირებაზე ფიქრობენ, რასაც ჰოლცჰოიზერი კვირას მკაცრი განცხადებებით გამოეხმაურა.

*„ყველამ იცის, რომ „ბაიერნთან" დაპირისპირების მომხრე არ ვარ, მაგრამ ძალიან გავბრაზდი, პირველ რიგში გამიკვირდა, რომ იუპ ჰაინკესმა ყველასათვის მოულოდნელად, ბენდერის თემა საჯაროდ წამოსწია და ლარსზე ილაპარაკა,"* - უთხრა ჰოლცჰოიზერმა „ბილდს"

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პარასკევს ჰაინკესმა ერთ-ერთ ჟურნალისტს კითხვაზე, რას მოიქმედებთ იმ შემთხვევაში, თუ **ხავი მარტინესი** მიუნხენში არ გადმოვა, ლარს ბენდერზე ხომ არ გადაერთვებითო, თვალი ჩაუკრა და აი, ასე უპასუხა: *„სხვათა შორის, მე ერთობ წინდახედული კაცი ვარ და ლარს ბენდერმა ევროპის ჩემპიონატზე, დანიასთან მატჩში გოლი რომ შეაგდო, მატჩის შემდეგ SMS მივწერე - კარგი ბიჭი ხარ, კარგად ითამაშე, გილოცავ-მეთქი. რა იცით, რა გათვლა მქონდა იმ დროს, როცა ამ შეტყობინებას ვწერდი?"*

ფაქტია, რომ ჰოლცჰოიზერმა ჰაინკესის ეს განცხადება ხუმრობად არ მიიღო: *„ძალიან მიკვირს, რომ იუპი ასე მოიქცა,* - ამბობს „ლევერკუზენის" ბოსი, - *მიკვირს ისიც, რომ ჰაინკესს SMS-ების წერა უსწავლია. ჩემი გაბრაზება კი იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ წინა კვირაში „ბაიერნისგან" ოფიციალური წერილი მოგვივიდა, ლარს ბენდერზე ვფიქრობთო. მე მიუნხენელებს მაშინვე უარი შევუთვალე და გავაგებინე, რომ ლარსის გაყიდვას არ ვაპირებთ და ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ თუნდაც მცირე და უმნიშვნელო მოლაპარაკების შესახებ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. შევთანხმდით იმაზეც, რომ ბავარიელები ბენდერს არ დაეკონტაქტებოდნენ. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ თქვა ჰაინკესმა ეს ყველაფერი!"*

ლარს ბენდერს „ლევერკუზენთან" კონტრაქტი 2017 წლამდე აკავშირებს. ცნობილია, რომ „ბაიერნის" ახალი სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** მისი ფანია.

მოსალოდნელი ტრანსფერი




იბრაჰიმ აფელაის რიგი დაუდგა

ჩვენი ესპანელი კოლეგების ცნობით, „ბარსელონას" ახალ თავკაც **ტიტო ვილანოვას** ჰოლანდიელი შემტევი ნახევარმცველი **იბრაჰიმ აფელაი** აღარ სჭირდება და ამ უკანასკნელს შეუძლია, ახალი გუნდი მოძებნოს. „ელ მუნდო დეპორტივოს" ინფორმაციით, 26 წლის აფელაის მთხოვნელების რიგი დაუდგა, ყველაზე მეტად კი გერმანული კლუბები, ერთმანეთის მოსისხლე მტრები, ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" და გელზენკირხენის „შალკე" აქტიურობენ.

თავად აფელაიმ არაერთხელ თქვა, თუ „ბარსადან" წავალ, მხოლოდ ისეთ გუნდში გადავალ, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებსო და ამ მხრივ ვერც „დორტმუნდს" დაუწუნებს რამეს და ვერც „შალკეს" - ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში ორივე კლუბს გარანტირებული აქვს. დორტმუნდელები **შინჯი კაგავას** „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ ყოველი შემთხვევისთვის ერთ კარგ შემტევ ნახევარმცველს ეძებენ, „შალკესთვის" კი ასეთი ფეხბურთელი ძალიან სჭირდება. აღსანიშნავია, რომ გელზენკირხენელებს აფელაის გადაბირება ჯერ კიდევ მაშინ უნდოდათ, როცა ეს უკანასკნელი „ეინდჰოვენში" ასპარეზობდა, მაგრამ მაშინ „შალკეს" „ბარსელონამ", რა თქმა უნდა, აჯობა.

„ელ მუნდო დეპორტივო" იმასაც წერს, რომ „დორტმუნდის" და „შალკეს" მთავარი კონკურენტები მილანის „ინტერი" და ლონდონის „არსენალი" არიან.

ჰოლანდიის ნაკრები

# კლუივერტი ვან გაალის ასისტენტად?

### ლუისმა ყოფილ შეგირდს დაუძახა

**ჯოვანი ვან ბრონკჰორსტისგან** უარის მიღების შემდეგ, ჰოლანდიის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** მიზანი ახლა **პატრიკ კლუივერტისკენ** მიმართა და როგორც ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგები წერენ, ყოფილ შეგირდს ასისტენტობა შესთავაზა. კლუივერტი ახლა „ტვენტეში" მუშაობს. ენსხედურმა კლუბმა კვირას გაზეთ „დე ტელეგრააფს" დაუდასტურა, რომ პატრიკმა ჰოლანდიის საფეხბურთო კავშირისგან მართლაც მიიღო წინადადება და ახლა ფიქრობს, დათანხმდეს თუ არა ვან გაალის ასისტენტად მუშაობას.

„ვფიქრობთ, ეს მისთვის კარგი გამოწვევაა და თუ კლუივერტი ვან გაალის ასისტენტად მუშაობას დათანხმდება, დიდი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მიეცემა, რის გამოც თანახმა ვართ, პატრიკი ჰოლანდიის ნაკრებს დავუთმოთ," - ეს „ტვენტეს" ბოსის, **იოოპ მუნსტერმანის** სიტყვებია.

პატრიკ კლუივერტი ახლა „ტვენტეს" ახალგაზრდული გუნდის თავკაცია და გასულ სეზონში „იონგ ტვენტეს" ჰოლანდიის ჩემპიონობა მოაპოვებინა. ლუის ვან გაალს მის კარიერაში უდიდესი როლი აქვს: დღეს უკვე 36 წლის კლუივერტმა 1995 წელს ჩემპიონთა ლიგა სწორედ იმ „აიაქსთან" ერთად მოიგო, რომელსაც ვან გაალი წვრთნიდა. თანაც, ფინალში „მილანს" გადამწყვეტი გოლი სწორედ პატრიკმა გაუტანა. საინტერესოა ისიც, რომ ვან გაალმა კლუივერტი მერე „ბარსელონაშიც" წაიყვანა.

ერთი სიტყვით, თუ ჩვენს ჰოლანდიელ კოლეგებს დავუჯერებთ, კლუივერტის ვან გაალის ასისტენტად დანიშვნა გადაწყვეტილია. ჰოლანდიის საფეხბურთო კავშირში ლუისის თანაშემწის ოფიციალურად წარდგენას 10 აგვისტოს აპირებენ.



პატრიკ კლუივერტი

ვოლფსბურგი. ტრანსფერი

# მაგათის მორიგი ბრაზილიელი

### ნალდოს მერე ვოლფსბურგმა ფაგნერიც იყიდა

გასულ უქმეებზე „ვოლფსბურგის" მწვრთნელმა და მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** კიდევ ერთი ტრანსფერი სრულყო – ბრემენის „ვერდერიდან" ცენტრალური მცველის, **ნალდოს** გადაბირების შემდეგ, 58 წლის „დესპოტმა ფელიქსმა" „ვოლფსბურგს" კიდევ ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი შესძინა. 23 წლის მარჯვენა მცველი **ფაგნერი** „მგლებში" „ვასკო და გამადან" გადადის.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ტანდაბალმა (1.69 მეტრი) ფეხბურთელმა გერმანულ კლუბთან ყველაფერი შეთანხმა და მას ვოლფსბურგში დღეს ელოდებიან. „ბილდის" ინფორმაციით, „ვოლფსბურგს" ფაგნერი 4 მილიონი ევრო უჯდება და ბრაზილიელი „მგლებთან" სავარაუდოდ 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. აღსანიშნავია, რომ ფაგნერმა ევროპაში ბედი ადრეც სცადა – 17 წლის იყო, როცა „ეინდჰოვენში" გადავიდა, მაგრამ თავი ვერ დაიმკვიდრა და ისევ სამშობლოში დაბრუნდა. ფაგნერი ახალი სეზონისთვის მაგათის რიგით მეშვიდე ახალწვეულია.



ვოლფსბურგის ახალწვეული ფაგნერი

ამბები

### ჰაშემიანმა კარიერა დაამთავრა

ირანის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა **ვაჰიდ ჰაშემიანმა**, რომელსაც ფეხბურთის ქომაგები ბუნდესლიგიდან იცნობენ, კარიერა დაასრულა. ეს ინფორმაცია ფორვარდმა შაბათს, საკუთარ დაბადების დღეზე გაავრცელა – ჰაშემიანი 36 წლისაა. გერმანიის ჩემპიონატში ჰაშემიანი, რომელსაც თავით კარგად თამაშის გამო „ვერტმფრენს" უწოდებდნენ, 1999-დან 2010-წლამდე „ჰამბურგის", „ბოხუმის", „ბაიერნისა" და „ჰანოვერის" ღირსებას იცავდა. ირანელმა თავდამსხმელმა პირველ ბუნდესლიგაში 208 მატჩი ჩაატარა და 38 გოლი გაიტანა, ხოლო ირანის ნაკრების ფორმით 50 შეხვედრაში 15 გოლი აქვს გატანილი.

### ხოსელუ ჰოფენჰაიმს მიუახლოვდა

**დანიელ კარვახალის** შემდეგ, რომელიც „ლევერკუზენში" გადავიდა, ბუნდესლიგაში შესაძლოა მადრიდის „რეალის" კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი ვიხილოთ. „ბილდის" ინფორმაციით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ **ხოსე ლუის ნანმარტინ მატო**, რომელსაც მოკლედ **ხოსელუს** უწოდებენ, კარიერას „ჰოფენჰაიმში" გააგრძელებს. 22 წლის თავდამსხმელმა გასულ სეზონში „რეალის" რეზერვისტებში 26 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა. „ჰოფე" მზადაა, ხოსელუს სანაცვლოდ 3-დან 5 მილიონ ევრომდე გადაიხადოს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

TROFEO TIM


როდრიგო პალასიოს საგოლე გარღვევა მილანთან

# სტრამაჩონის პირველი თასი

**ინტერი–იუვენტუსი 1:0**

**ინტერი (4-3-1-2):** ჰანდანოვიჩი – ჯონათანი, რანოკია, კივუ, მბაიე (39. სილვესტრი) – ძანეტი, გუარინი, კამბიასო – კოუტინიო (34. ნაგატომო) – პალასიო (39. ლონგო), მილიტო.

**იუვენტუსი (3-5-2):** სტორარი – ლიხტშტაინერი, მაზი, ლუსიო – კასერესი, ასამოა, მარონე, ვიდალი, დე ჩელიე – კვალიარელა, მატრი.

**გოლი:** 1:0 კოუტინიო (12).

**მილანი–იუვენტუსი 0:1**

**მილანი (4-3-1-2):** ამელია – დე შილიო, ბონერა, იეპესი, ტაივო – ტრაორე, ამბროზინი, ბოატენგი – ემანუელსონი – რობინიო, ელ შაარავი.

**იუვენტუსი (3-5-2):** სტორარი (25. ლეალი) – მაზი, ლუსიო, კასერესი (45. ლიხტშტაინერი) – პეპე (38. უნტერსე), პადოინი, ვიდალი (25. პაციენცა), ასამოა, უიგლერი – ბუაჩი, ვუჩინიჩი (43. მატრი).

**გოლი:** 0:1 ვუჩინიჩი (31-პენ.).

**ინტერი–მილანი 2:1**

**ინტერი (4-3-1-2):** ბელეცი – მბაიე, სილვესტრი (21. ჯონათანი), კივუ, ნაგატომო (38. ბიანკეტი) – გუარინი (35. რანოკია), კამბიასო, ძანეტი – კოუტინიო – პალასიო (44. პაზა), მილიტო (30. ლონგო).

**მილანი (4-3-1-2):** ამელია (21. პაცალი) – ანტონინი, აჩერბი, ალბერტაცი (44. იოტი), მესბა – ტრაორე (40. პროსენიკი), კრისტანტი, ვალოტი – ბოატენგი (20. კარმონა) – განსი, ელ შაარავი (32. ემანუელსონი).

**გოლები:** 0:1 ელ შაარავი (16), 1:1 გუარინი (25), 2:1 პალასიო (34).

TROFEO TIM-ის მიმართ იტალიური საფეხბურთო საზოგადოების ინტერესი, ტრადიციულად, მაღალია და გამონაკლისი არც წლევანდელი გათამაშება ყოფილა. თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, გუნდებმა ზედმეტად ექსპერიმენტული შემადგენლობით ისპარეზეს და ბუნებრივია, რომ ამან ტურნირს გარკვეული პეწი დაუკარგა და შესაძლოა, პრესტიჟიც კი შეულახა. მართალია, გათამაშება ამხანაგური ხასიათისაა, მაგრამ წინა წლებში, თამაშები უშელავათო ბრძოლებში მიმდინარეობდა და გუნდებიც მეტწილად ძირითად შემადგენლობებს იყენებდნენ. წელს მწვრთნელებმა ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გააკეთეს აქცენტი და შესაძლოა, ცოტათი ზედმეტიც კი მოუვიდათ – მაგალითად, "ინტერთან" შეხვედრაში "მილანმა" ფაქტობრივად დუბლშემადგენლობა ათამაშა და დაიჩაგრა კიდეც.

საერთოდ, "მილანს" ყველაზე მეტად გაუჭირდა ძირითადი ბირთვის შეგროვება და ეს არც არის გასაკვირი – ზაფხულში, "როსონერი" არაერთმა ვეტერანმა ფეხბურთელმა დატოვა, ამას წამყვან მოთამაშეთა გასხვისება დაემატა და თუ ამას იმასაც დავამატებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ნათამაშები ფეხბურთელები ჯერ კიდევ შვებულებაში არიან, გასაკვირი არაა, რომ **მასიმილიანო ალეგრიმ** შემადგენლობა ახალგაზრდული გუნდიდან დააკომპლექტა. ბარემ, დავიწყოთ "მილანით" და შემდეგ დანარჩენ ორ გუნდზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვით...

**მილანი**

მასიმილიანო ალეგრის გუნდმა ორივე შეხვედრა წააგო, მაგრამ ამ პაექრობებიდან რაიმე დასკვნების გამოტანა ძალიან რთულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმავე "ინტერთან" შეხვედრაში ექვსი ფეხბურთელი "პრიმავერადან" გახლდათ და დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო "იუვენტუსთან" პაექრობაშიც. როგორც ჩანს, TROFEO TIM ალეგრიმ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად გამოიყენა, რათა საკუთარი თვალით ეხილა უახლოესი რეზერვი და მოენიშნა ის ფეხბურთელები, რომლებიც შეიძლება სეზონის მსვლელობისას გამოადგეს. ვერ გეტყვით, რა მონიშნა "როსონერის" თავკაცმა, მაგრამ მილანელები რომ ორივე თამაშში დაიჩაგრნენ, ეს ფაქტია. ნატურნირევს, ალეგრიმ გაძლიერების აუცილებლობაზე ილაპარაკა:

*"ძალიან ნაყოფიერი სპარინგები გავმართეთ და ბევრი საინტერესო ინფორმაციაც მივიღეთ. უამრავი ახალგაზრდა ფეხბურთელი ვნახეთ საქმეში, რომელთა გამოყენებასაც სეზონის განმავლობაში ვაპირებთ. ისე კი, გუნდს გაძლიერება სჭირდება და ეს აშკარაა – აგვისტოში სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურებას ვაპირებთ და დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე უმაღლესი კლასის მოთამაშეს დავიმატებთ".*

**იუვენტუსი**

**ანტონიო კონტემ** ორჯერვე 3-5-2 სქემა გამოიყენა და ამით აშკარად მიგვანიშნა, რომ ეს ტაქტიკა მომდევნო სეზონშიც ძალაში იქნება. ბუნებრივია, ახალგაზრდა ფეხბურთელები "იუვეს" მთავარ მწვრთნელმაც გამოცადა, თუნდაც თავდამსხმელი **ბუაჩი** ავიღოთ, რომელმაც "მილანთან" შეუცვლელად ითამაშა. "იუვეს" მაისურით კიდევ ერთხელ ვიხილეთ **ლუსიო**, რომელიც სამმცველიან ტაქტიკაში ცენტრალურ როლს ასრულებდა. მთლიანობაში, "ბიანკონერიმ" კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა "ინტერთან" დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდა და შედეგად, დამარცხდა კიდეც – ბუნებრივია, ამ ყველაფრისგან კონტეს ტრაგედია არ შეუქმნია:

*"ახალი სეზონისთვის ჯერ მზად არ ვართ, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოსამზადებელი პერიოდის მხოლოდ პირველ ეტაპს გავდივართ. უკეთაც შეგვეძლო თამაში, მაგრამ მთლიანობაში მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან შეგირდებს თავი არ დაუზოგავთ. როდესაც ამხანაგურ შეხვედრაში გამარჯვებისკენ ასეთი სწრაფვა გაქვს, ე.ი. მოტივაციასთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზეა".*

**ინტერი**

**ანდრეა სტრამაჩონი** მოსამზადებელ ეტაპზე **როდრიგო პალასიოსა** და **დიეგო მილიტოსგან** შემდგარ თავდამსხმელთა ტანდემს ეყრდნობა. როგორც ჩანს, ახალ სეზონშიც ანალოგიური სურათი იქნება. ვერ ვიტყვით, რომ არგენტინელებმა ციდან ვარსკვლავები მოწყვიტეს, მაგრამ რიგ ეპიზოდებში საკმაოდ კარგად მოქმედებდნენ და მწვრთნელის ქებაც დაიმსახურეს. მართალია, შეუთამაშებლობა ეტყობოდათ, მაგრამ ეს არავის გაჰკვირვებია. შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა **ფელიპე კოუტინიომ**, რომელიც გამთამაშებლის პოზიციაზე მოქმედებდა და "იუვესთან" შეხვედრაში გოლიც გაიტანა. სწორედ ამხანაგურ შეხვედრებში წყდება ბრაზილიელის ბედი და ისეთი პირი უჩანს, რომ ფელიპე კარიერას "ინტერში" გააგრძელებს. "ნერაძურიმ" ტურნირი ყველაზე კარგად ჩაატარა და დამსახურებულად მოიპოვა თასი, რამაც გუნდის მთავარი მწვრთნელი ძალიან გაახარა – მოვუსმინოთ ანდრეა სტრამაჩონის:

*"ახალი სეზონის წინ, თასის მოპოვება მეტად სასიამოვნოა და სიმართლე გითხრათ, ძალიან გახარებული ვარ – ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი პირველი თასია. შეგირდებით კმაყოფილი ვარ, რადგან დავალებები პირნათლად შეასრულეს და შედეგიც შესაბამისი მოიმკეს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ძალიან ძლიერ გუნდს ჩავუყარეთ საფუძველი – ამაში, გულშემატკივრებიც მალე დარწმუნდებიან".*

მილანი

# გალიანი: არ მომკვდარა, მხოლოდ...

"მილანის" გულშემატკივრები არ ცხრებიან და კვლავაც აქტიურად აპროტესტებენ იმ პროცესებს, რომლებიც მათი საყვარელი გუნდის გარშემო ხდება... როგორც იცით, ლომბარდიული გრანდი **ტიაგო სილვამ** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** დატოვეს, ფრანგულ პსჟ-ში გადაბარგდნენ და მომდევნო სეზონიდან პარიზელთა ღირსებას დაიცავენ. მართალია, კლუბის მესვეურები მეგატრანსფერებს გვპირდებიან, მაგრამ სილვას და იბრას სრულფასოვან შემცვლელთა მოძებნა რომ იოლი არ იქნება, ეს ცხადზე ცხადია. მოკლედ, "როსონერის" გულშემატკივრები აღშფოთებულნი არიან და კლუბის ოფისთან საპროტესტო აქციებს მართავენ.

გუშინ, "ვია ტურატიზე", ანუ კლუბის ოფისის წინ, დაახლოებით 500 ტიფოზი შეიკრიბა, რომლებმაც სამგლოვიარო ცერემონია ჩაატარეს, ყვავილებით და სანთლებით საყვარელ გუნდს ანდერძი აუგეს და ამით თავიანთი მკაფიო პოზიცია დააფიქსირეს – ბუნებრივია, ამ ამბავს "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა:

*"გულშემატკივართა აღშფოთება გასაგებია, მაგრამ თავს მშვიდად ვგრძნობ, რადგან ვიცი, რომ მათ მალე გავახარებთ. აქ არა იმდენად ტრანსფერები, რამდენადაც გუნდის შედეგები ვიგულისხმე, რომელიც მომდევნო სეზონში აუცილებლად გვექნება. ჩვენი მიზანი სერია A-ს, ჩემპიონთა ლიგის, იტალიის თასის მოგებაა და თუ ვინმეს ჰგონია, რომ იბრაჰიმოვიჩის გარეშე ეს შეუძლებელია, ძალიან ცდება. მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის გამო, წამყვან ფეხბურთელებთან გამოთხოვებამ მოგვიწია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომდევნო სეზონში გუნდი კონკურენტუნარიანობას დაკარგავს – "მილანი" მწვერვალებს დაიპყრობს და შეგიძლიათ ჩემი სიტყვებით ერთი წლის თავზე გამახსენოთ – ასე რომ, "მილანი" ნამდვილად არ მომკვდარა".*



ტიფოზებმა "მილანს" ანდერძი აუგეს

ტრავმა

# კასერესი 6 თვეს იუქმებს?

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **მარტინ კასერესმა** ერთ-ერთი ორთაბრძოლის დროს ჯვარედინი მყესი დაიზიანა და დიდია შანსი, ექვსთვიანი უქმობა მოუწიოს. თუ აღნიშნული ვარაუდი გამართლდა, „იუვენტუსი" განაპირა მცველს სეზონის პირველ ნახევარში ფაქტობრივად ვერ დაიხმარს. ამ მეტად უსიამოვნო ამბავს, ტურინული კლუბის სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** გამოეხმაურა:

*„გასულ სეზონში ტრავმებს არ შევუწუხებივართ, მოსამზადებელი ეტაპი კი ძალიან ცუდად დაიწყო. კასერესი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და მისი დაშავება სერიოზული პრობლემაა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სატრანსფერო ბაზარზე გავალთ და მისი შემცვლელის ძებნას დავიწყებთ. კონტეს განკარგულებაში ისედაც ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია და მჯერა, რომ მწვრთნელს გამოსავლის პოვნა არ გაუჭირდება. აქვე ვიტოვებ იმედს, რომ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება და მარტინი მალე დაგვიბრუნდება".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



მარტინ კასერესი

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. ტრანსფერები

# სატრანზიტო ხაზი: რეალი–ვალენსია

## ესპანური სატრანსფერო სეზონი ძალას იკრებს

**ბოლო** დღეებში ესპანური ტრანსფერებიდან 26 წლის არგენტინელი ფერნანდო გაგოს „ვალენსიაში" გადასვლა გამოვარჩიეთ და არცთუ უსაფუძვლოდ, თუმცა ამ ხნის განმავლობაში სხვა საინტერესო ტრანსფერიც განხორციელდა, რომელთა შესახებაც ქვემოთ ცხრილში წაიკითხავთ.


პაულუ ასუნსაო ატლეტიკოში თამაშისას

### ასუნსაო: ადიოს ესპანია

ვეტერანი ნახევარმცველი **პაულუ ასუნსაო** სამშობლოში დაბრუნდა, 32 წლის ბრაზილიელი მადრიდის „ატლეტიკოდან" „სან პაულუში" გადავიდა. როგორც „სან პაულუს" ოფიციალური საიტი იუწყება, საყრდენმა ნახევარმცველმა გუნდთან 1-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მართალია, ასუნსაოს კიდევ ერთი სეზონი რჩებოდა კონტრაქტის მიხედვით „ატლეტიკოსთან", მაგრამ მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით ძველი კონტრაქტი დაარღვიეს, ბრაზილიელს კი კლუბის მოძებნის უფლება მისცეს.

პაულუ ასუნსაომ „ლოს კოლჩონეროსის" მაისურა 2008 წელს მოირგო, როცა „პორტუდან" ესპანეთში გადავიდა. „ატლეტიკოში" მან 100-მდე ოფიციალური მატჩი ჩაატარა, თუმცა სამშობლოში დაბრუნება მოინდომა: *„ჩემი კარიერის უკეთესი მომენტები „ატლეტიკოს" უკავშირდება. მე იქ სამი ევროპული ტიტული მოვიგე. ყოველთვის კარგად მემახსოვრება მადრიდში გატარებული ხანა. „ატლეტიკოს" მორიგ წარმატებას ვუსურვებ, მე კი სამშობლო მომენატრა"*, - განაცხადა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა.

ასუნსაო „პალმეირასის" აღზრდილია, თუმცა უკვე 2000 წელს გადავიდა „პორტუში", სადაც სარეზერვო გუნდში მიიღეს. შემდეგ ასუნსაო უკან დაბრუნდა და ხელმეორედ 2002 წელს სცადა ბედი მადეირულ „ნასიონალში", 2004-ში ის უკვე „პორტუს" ძირითადი გუნდის წევრი გახდა. ასუნსაოს პორტუგალიის მოქალაქეობა აქვს მიღებული, თუმცა სანაკრებო კარიერა არ ჰქონია, არც ბრაზილიაში და არც პორტუგალიაში.

### ახალი ვარსკვლავი პრიმერაში?

„სევილიაში" სამხრეთამერიკული დესანტია - ანდალუსიურმა კლუბმა 18 წლის ჩილელი შემტევი **ბრიან რაბელიო** აიყვანა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებს გუნდის თავკაცი **მიჩელი**. რაბელიომ თავი უკვე გამოიჩინა წინასასეზონო შეკრებაზე, რაც მიჩელს ოპტიმიზმის საბაბს აძლევს. *„ჩვენი ყველაზე დიდი შენაძენი წინა ხაზში ბრიან რაბელიოა. მისით აღფრთოვანებული ვარ. ის ყველასთვის უცნობი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ახალგაზრდა ძალიან კარგად გამოიყურება. ჩემი აზრით, რაბელიო ლა ლიგის ვარსკვლავი გახდება"*, - „რეალის" ლეგენდას არ უყვარს ავანსების გაცემა, თუმცა ამ ჯერზე ტრადიციას უღალატა.

რაბელიო „კოლო კოლოდან" „სევილიას" სარეზერვო გუნდში გადაიყვანეს, მაგრამ ვარჯიშებზე მიხვდნენ, რომ სამხრეთამერიკელი მეტს იმსახურებს. სხვათა შორის, რაბელიომ უკვე მოასწრო დებიუტი ჩილეს ნაკრებში.

### ხუთი მილიონი კანალესში

**სერხიო კანალესი** უკვე ვალენსიელია, თუმცა „რეალს" ორი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება რჩება. 21 წლის შემტევი ნახევარმცველი, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია, „ვალენსიას" 5 მილიონი ევრო დაუჯდა, ისევე როგორც ფერნანდო გაგო.



სერხიო კანალესი უკვე სრულუფლებიანი ვალენსიელია

**ბოლო დღეებში ლა ლიგაში განხორციელებული ტრანსფერები**

| თარ. | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 15 ივლ | იოსეფ ელ-არაბი (მარ) | ალ-ჰილალი | გრანადა | 5 მლნ. ევრო |
| 15 ივლ | ვალდო | ლევანტე | ატლანტე | თავ. აგენტი |
| 15 ივლ | ჟანი ზუიველრონი (ჰოლ) | მალიორკა | ჰეერენვენი | იჯარა |
| 15 ივლ | დავიდ კოვენიო | ვალეკანო | ვასლუი | თავ. აგენტი |
| 16 ივლ | გლენ ლოოვენსი (ჰოლ) | სელტიკი | სარაგოსა | თავ. აგენტი |
| 16 ივლ | რუბენ მარტინესი | მალაგა | ვალეკანო | იჯარა |
| 17 ივლ | ნილმარი (ბრა) | ვილიარეალი | ალ რაიანი | 8 მლნ. ევრო |
| 17 ივლ | იბან ზუბიარე | ბილბაო | სალამანკა | იჯარა |
| 17 ივლ | კარლოს ველა | არსენალი | სოსიედადი | თავ. აგენტი |
| 17 ივლ | იბრაჰიმა ბალდე (სენ) | ოსასუნა | ყუბანი | თავ. აგენტი |
| 17 ივლ | ხორდი ამატი | ესპანიოლი | ვალეკანო | იჯარა |
| 17 ივლ | დარვინ მაჩისი (ვენ) | უდინეზე | გრანადა | იჯარა |
| 18 ივლ | ლუკას პიატრი (არგ) | ბოკა | ვილიარეალი | იჯარა |
| 18 ივლ | ჟულიენ ესკუდე | სევილია | ბეშიქთაში | 1 მლნ. ევრო |
| 18 ივლ | ალექს გალვესი | სპორტინგი | ვალეკანო | თავ. აგენტი |
| 18 ივლ | ალბერტ კანალი | ესპანიოლი | ლიაგოსტერა | თავ. აგენტი |
| 18 ივლ | პაბლო ალვარესი | დეპორტივო | ლუგო | თავ. აგენტი |
| 18 ივლ | იოელ როდრიგესი | სელტა | ლუგო | იჯარა |
| 18 ივლ | ედგარ იე (გვინ) | სპორტინგი | ბარსელონა II | თავ. აგენტი |
| 18 ივლ | აგოსტინო კა (გვინ) | სპორტინგი | ბარსელონა II | თავ. აგენტი |
| 18 ივლ | ფაბინიო (ბრა) | რიუ ავე | რეალი II | თავ. აგენტი |
| 18 ივლ | პაპე დიოპი (სენ) | რასინგი | ლევანტე | 0,2 მლნ. ევრო |
| 19 ივლ | აბელ აგილარი (კოლ) | ერკულესი | დეპორტივო | იჯარა |
| 19 ივლ | კალუ უჩე (ნიგ) | ესპანიოლი | კასიმპაშა | 1,5 მლნ. ევრო |
| 19 ივლ | ფერნანდო გაგო (არგ) | რეალი | ვალენსია | 5 მლნ. ევრო |
| 19 ივლ | აბელ გომესი | გრანადა | კორდობა | თავ. აგენტი |
| 19 ივლ | ბენ საჰარი (ისრ) | ესპანიოლი | ჰერტა | თავ. აგენტი |
| 19 ივლ | სერხიო კანალესი | რეალი | ვალენსია | 5 მლნ. ევრო |
| 20 ივლ | ოსკარ ვეგა | ოსასუნა | ლეგანესი | თავ. აგენტი |
| 20 ივლ | ბაკარი | ესპანიოლი | ოსპიტალეტი | თავ. აგენტი |
| 20 ივლ | დავიდ როჩელა | დეპორტივო | რასინგ | იჯარა |
| 20 ივლ | ანტონ რუკავინა (სერბ) | მიუნხენი | ვალიადოლიდი | თავ. აგენტი |
| 20 ივლ | ხუან კალაორო | ბეტისი | ალკორკონი | თავ. აგენტი |
| 20 ივლ | კლაუდიო მორელი (პარ) | დეპორტივო | ინდეპენდიენტე | თავ. აგენტი |
| 20 ივლ | მიჩუ | ვალეკანო | სუონსი | 2 მლნ. ევრო |
| 21 ივლ | რესიო | მალაგა | სარაგოსა | იჯარა |
| 21 ივლ | ოსკარ უსტარი (არგ) | ხეტაფე | ბოკა | თავ. აგენტი |
| 22 ივლ | ჯავად ნეკუნამი (ირა) | ოსასუნა | ესტეღლალი | თავ. აგენტი |

რეალი



დენის ჩერიშევი

VS

## შოკი დენისისგან: პირველ გუნდს მეორემ 5:1 მოუგო

*ივანი, მოსკერა, ალექსი, შაჰინი, დენისი, მორატა, ლუკასი.*

**წინასასეზონო** შეკრების პირველი კვირის დასასრულს **ჟოზე მოურინიომ** ფეხბურთის თამაში ინება - „რეალი" მისსავე სარეზერვო გუნდს, „რეალ კასტილიას" შეხვდა, რომელსაც მეორე დღეს 40 წელი უსრულდებოდა, და... 1:5 განადგურდა. ჟოზე მოურინიომ ამ შეხვედრას თავიდან ბოლომდე უყურა და ყველა დეტალი ჩაინიშნა. შეხვედრა ვალდებებასის ბაზაზე გაიმართა, ტელეკამერების თვალწინ „რეალის" ახალგაზრდებმა მოინდომეს და თანაც როგორ.

ჟოზე მოურინიოს ვარჯიშზე 9 პირველგუნდელი და 14 სარეზერვო ჰყავდა. 15-წუთიანი ვარჯიშის შემდეგ თამაში დაიწყო, პრესა მას მთლიანად დაასწრეს. გამარჯვებულთა შორის გამოირჩეოდა **ნური შაჰინი**, რომელმაც გოლი პენალტის ნიშნულიდან გაიტანა. დუბლი შეასრულა **დენის ჩერიშევმა**, თითო გოლი კი **ალვარო მორატასა** და **ლუკას ვასკესის** ანგარიშზეა. პირველი გუნდიდან ერთადერთი გოლი **გონსალო იგუაინმა** გაიტანა. სხვათა შორის, 21 წლის დენის ჩერიშევი სწრაფი შემტევია, ის ცნობილი რუსი ფეხბურთელის, **დმიტრი ჩერიშევის** შვილია და ესპანეთის მოქალაქეა.

**I გუნდი**: *პაჩეკო, ფაბინიო, ვარანი, ნაჩო ფერნანდესი, რიოსი, დიარა, დი მარია, გრანერო, კაკა, კალეხონი, იგუაინი.*

**II გუნდი**: *ადანი, ხუანფრანი, მატეოსი, კასადო,*

**ესპანური კლუბების სპარინგები**

**20 ივლისი**

| ლიონი–რეალ სოსიედადი | 1:1 |
|---|---|

**გოლები**: 0:1 გრიზმანი (62), 1:1 ბრიანი (78)

| ბრაუნშვაიგი–ვალენსია | 1:1 |
|---|---|

**გოლები**: 1:0 დოგანი (9), 1:1 ჟონასი (27)

| ბრიუგე–ხეტაფე | 1:5 |
|---|---|

**გოლები**: 0:1 მიკუ (3), 1:1 ვ. ვასკესი (32), 1:2 რაფა (52), 1:3 კოლუნგა (58), 1:4 კოლუნგა (78), 1:5 სარაბია (81)

**21 ივლისი**

| ბილბაო–პსვ | 0:1 |
|---|---|

**გოლი**: 0:1 ვინალდუმი (73)

| პაოკ–მალიორკა | 0:0 |
|---|---|

| ვარეგემი–რაიო ვალეკანო | 2:0 |
|---|---|

**გოლები**: 1:0 ლეიე (31-პენ), 2:0 მალანდა (74)

| პორტუ–სელტა | 3:0 |
|---|---|

**გოლები**: 1:0 ლ. გონსალესი (66), 2:0 მაიკონი (75), 3:0 იტურბე (77)

| ხერესი–მალაგა | 2:0 |
|---|---|

**გოლები**: 1:0 ხოსე მარი (46), 2:0 მალდონადო (60)

**22 ივლისი**

| ალმერია–ლევანტე | 3:0 |
|---|---|

**გოლები**: 1:0 შარლესი (3), 2:0 ხონათანი (31), 3:0 ულოა (46)

| სლასკი–ბილბაო | 0:1 |
|---|---|

**გოლი**: 0:1 სუსაეტა (43)

| გენტი–რაიო ვალეკანო | 2:0 |
|---|---|

**გოლები**: 1:0 ი. კონტე (9), 2:0 კოლა (23)

| მეხელენი–ხეტაფე | 3:0 |
|---|---|

**გოლები**: 1:0 ვან დერ ბრუგენი (8), 2:0 პანძა (14), 3:0 ვან დერ ბრუგენი (80)

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა


## ვარლამ ლიპარტელიანი
ძიუდო



BP – საქართველოს მხარდასაჭერად

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

საპატრიარქოში



# პატრიარქის ლოცვა-კურთხევით

გუშინ საპატრიარქოში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია მიიღო და ლონდონში გამგზავრების წინ გზა დაულოცა, ოლიმპიურ თამაშებში წარმატებები უსურვა: „მინდა მოგესალმოთ და ასეთ მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებაში ყოველივე საუკეთესო გისურვოთ. ღვთის მადლი გფარავდეთ". დელეგაციის თითოეული წევრმა პატრიარქისგან კურთხევა მიიღო.

შეხვედრის დასასრულს კათალიკოს-პატრიარქმა საქართველოს დელეგაციას ლონდონში წასაბრძანებლად ხატი გადასცა. საგულისხმოა, რომ ჩვენი ოლიმპიელები პეკინის ოლიმპიადის წინაც პატრიარქმა დალოცა და სამშობლოში შესანიშნავი შედეგებით დაბრუნდნენ.

საქართველოს ოლიმპიური გუნდი უწმინდესის და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ლონდონში 25 ივლისს გაემგზავრება.

ჭადრაკი

# ექვსი მამაკაცი და ერთი ქალი

„ოქროს კლასიკა" - ასე უწოდეს ორგანიზატორებმა დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირს, რომლის ინიციატორი იყო პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია. შეგახსენებთ, რომ ასპარეზობის თითოეულ მონაწილეს 40 სვლისთვის 2,5 საათი ეძლეოდა პარტიის სავარაუდო გადადებითა და შინაური ანალიზის შემდგომ დამთავრებით. შეჯიბრებაში მაღალი რეიტინგის მქონე ექვსი მამაკაცი და ერთი ქალი იბრძოდა საპრიზო ადგილისთვის. უკრაინელი ვასილი ივანჩუკის გარდა, ყველამ ისარგებლა ტურნირის დებულებით მინიჭებული უფლებით და მესამე-მეხუთე ტურებში ხუთი პარტია გადაიდო. მათი დამთავრება შაბათს მოეწყო. უკვე გაუწყეთ, კრიშნან საშიკირანისა (ინდოეთი) და გატა კამსკის (აშშ) პარტიაში ოკეანისგაღმელის უპირატესობა აშკარა იყო - მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. ასეც მოხდა. ვიეტნამელ ლე ქუანგ ლიემთან პაექრობისას **ბაადურ ჯობავას** ფიგურა აკლდა, თუმცა შეეძლო მეტოქის მეფის მოლიავებული ფლანგით ესარგებლა და ყაიმისთვის გამოეკრა ხელი, მაგრამ აზიელმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა კიდეც. დანარჩენი სამი პარტია: ლე ქუანგ ლიემი - ანა მუზიჩუკი (სლოვენია), ემილ სუტოვსკი (ისრაელი) - საშიკირანი, კამსკი - მუზიჩუკი ყაიმით დასრულდა.

გუშინ ბოლო ტურის სამი შეხვედრა გაიმართა. ვასილი ივანჩუკმა შავი ფიგურებით ანა მუზიჩუკს 24-ე სვლაზე სძლია, ექვსი შესაძლებლიდან 5 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი - 10.000 დოლარიც დაიმსახურა. უკრაინელი მოჭადრაკის ეს წარმატება, ალბათ, კანონზომიერი იყო - სახელოვანი დიდოსტატია, ტურნირის რეიტინგფავორიტი გახლდათ, თანაც თავის დროზე კლასიკური პარტიებიც (40 სვლაზე 2,5 საათი) საკმაოდ ბევრი უთამაშია და ამსტერდამული ტურნირი მისთვის ერთგვარად ნოსტალგიურიც კი იყო. იმავეს თქმა შეიძლება გატა კამსკიზეც, რომელმაც ბოლო ტურში 58-ე სვლაზე, ასევე, შავებით ბაადურ ჯობავა დაგვიმარცხა და 4,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. 3,5 ქულით მე-3 ადგილზე გავიდა ტურნირის თაოსანი ემილ სუტოვსკი, რომელიც ლე ქუანგ ლიემს დაუზავდა. ამ უკანასკნელმა ანა მუზიჩუკთან ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილები გაინაწილა. 1,5 ქულით მე-6 ადგილზე კრიშნან საშიკირანი გავიდა, ჯობავას კი ანა მუზიჩუკისთვის მე-3 ტურშიართმეული ნახევარი ქულით ბოლო - მე-7 ადგილი ერგო.

**ვაჟა დანელია**

# ნაგებებს ბოლო არ უჩანს

გასულ შაბათ-კვირას სომხურ ჯერმუკში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშებაზე მორიგი ორი ტურის პარტიები გაიმართა. ამსტერდამის „ოქროს კლასიკაზე" ქართველ მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერის - **ბაადურ ჯობავას** წარუმატებლობისა არ ეყოს, ჯერმუკში საქართველოს ქალთა ნაკრების წევრ **ნინო ხურციძის** ნაგებებს არ უჩანს ბოლო. შაბათს ჩვენებური შავი ფიგურებით ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანთან (ჩინეთი) დამარცხდა, გუშინ კი ლუფეი რუანს (ჩინეთი) დანებდა. ექვსი ტურის შემდეგ მას მხოლოდ მასპინძელ ელინა დანიელიანთან მოპოვებული 0,5 ქულალა აქვს.

გასული უქმეებზე დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა: **მე-5 ტური.** ელინა დანიელიანი (სომხეთი) - ჟაო სიუ (ჩინეთი) 0,5:0,5, ლუფეი რუანი (ჩინეთი) - ჰამფი კონერუ (ინდოეთი) 0,5:0,5, ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) - ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) 0,5:0,5, ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) - ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი) 0:1, კატერინა ლაგნო (უკრაინა) - ბათჰუიაგ მონგონთუული (მონგოლეთი) 0,5:0,5. **მე-6 ტური.** ჟაო სიუ-მონგონთუული 0,5:0,5 მკრტიჩიანი - ლაგნო 0,5:0,5, ცზიუ ვენძიუნი - კოსინცევა 0,5:0,5, კონერუ - კოვალევსკაია 1:0.

სატურნირო მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ: ცზიუ ვენძიუნი - 4,5, ჰოუ იფანი, ჰამფი კონერუ, ლუფეი რუანი - 4-4, ელინა დანიელიანი, კატერინა ლაგნო, ლილით მკრტიჩიანი, ჟაო სიუ - 3-3, ეკატერინა კოვალევსკაია, ნადეჟდა კოსინცევა - 2,5-2,5, ბათჰუიაგ მონგონთუული - 2, ნინო ხურციძე - 0,5 ქულა.

დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ. ხვალ კი მე-7 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ჰოუ იფანი - ჟაო სიუ, რუანი - დანიელიანი, კოვალევსკაია - ხურციძე, კოსინცევა - კონერუ, ლაგნო - ვენძიუნი, მონგონთუული - მკრტიჩიანი. იმედია, ქართველი მოჭადრაკე ნინო ხურციძე, რომელიც მებრძოლი ხასიათით გამოირჩევა, დღევანდელ დასვენებას სატურნირო მდგომარეობაში გარდატეხის შესატანად გამოიყენებს.

**ვაჟა დანელია**

# ორნი პარდუბიცეში

საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობს ჩეხური პარდუბიცეს საჭადრაკო ფესტივალში, რომლის მთავარ ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 260-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. დიდოსტატებმა - **კონსტანტინე შანავამ** და **დავით არუთინიანმა** წარმატებით აიღეს სტარტი. შანავამ პირველ ორ ტურში ალექსანდრ ტიურინი (რუსეთი) და იულიან-მარსელ იორციკი (გერმანია) დაამარცხა, არუთინიანმა კი ძან ტომაზინის (სლოვენია) და კირილ პონიზილს (ჩეხეთი) სძლია.

ტურნირის რეიტინგფავორიტია რუმინელი ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (2648), რომელმაც ორი ტური, ასევე, უდანაკარგოდ განვლო. 2-2 ქულა მოაგროვეს დიდოსტატებმა - ალექსეი გავრილოვმა (რუსეთი), ალექსანდრ ვოლოდინმა (ესტონეთი), მარტინ კრავცივმა (უკრაინა), თამარ ნაბათიმ (ისრაელი), ჰარიკა დრონავალიმ (ინდოეთი), სულ 31-მა მონაწილემ.

**ვაჟა დანელია**

ლიცენზიატი

# გამართლებული ნდობა

ბიბლიოთეკა

## შეგროვილი ფულით პრაღაში

ლაშა შავდათუაშვილის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა მაგალითია იმისა, თუ რაოდენ ზუსტად ხედავს კარგი მწვრთნელი შეგირდის სამომავლო პერსპექტივას. ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე ლაშა სალიცენზიო ბრძოლაში ჩაებმებოდა, პირადი მწვრთნელები დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ ეს ბიჭი უახლოეს წლებშივე შეძლებდა თავის გამოჩენას. არადა რამდენჯერმე შეეძლოთ ავანსების გაცემისაგან თავი შეეკავებინათ. დარწმუნებული ვართ, რომ ლონდონის ოლიმპიადზე შავდათუაშვილის მოხვედრა დიდწილად პირადი მწვრთნელების ნდობის შედეგია. ნდობისა, რომელიც შეგირდმა პირწმინდად გაამართლა.



**ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო, 66 კგ)**

**დაიბადა:** 31. 01. 1992 წ. გორში

დიდებში - ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (2012), თბილისის, პრაღის, ბუენოს აირესის მსოფლიოს თასების გამარჯვებული, რიო დე ჟანეიროს დიდი პრიზის მესამე პრიზიორი. ახალგაზრდებში - ევროპის (2011) ჩემპიონი, მსოფლიოს (2011) მესამე პრიზიორი, მუდანიისა და ორჯერ პრაღის ევროპის თასების (2010, 2011) გამარჯვებული, საქართველოს (2011) ჩემპიონი.

მწვრთნელები: **ანზორ თენაძე, ნიკო ბიბილაშვილი**

ჰობი: ნადირობა

ოლიმპიადის დებიუტანტი

ახალგაზრდებს შორის შავდათუაშვილი პირველად 2010 წელს საბერძნეთის ქალაქ მუდანიაში ვიხილეთ საერთაშორისო არენაზე, სადაც დამაჯერებლად მოიპოვა პირველობა. ერთ თვეში, საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მოულოდნელად წინ თანაქალაქელები გაუშვა, ხოლო თავად მესამე ადგილზე დარჩა. ახალგაზრდული ნაკრები მაშინ მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ დასკვნით ეტაპად პრაღის ევროპის თასს განიხილავდა, სადაც ქვეყნის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გუნდში თითოეულ წონაში ორ-ორი წარმომადგენელი უნდა წაეყვანათ. სხვებისთვის ხარჯები არ იყო გათვალისწინებული. გორის დარბაზის მწვრთნელები მიიჩნევდნენ, რომ შავდათუაშვილის მესამე ადგილი საქართველოს ჩემპიონატზე ალოგიკური შედეგი იყო, ამიტომ „კაპიკ-კაპიკ" მოკრიბეს ფული და ჩეხეთში თავისი ჯილა, ჩვენს ნაკრებს საკუთარი ხარჯით გააყოლეს. მატერიალური ავანსი წყალში არ გადაყრილა - პრაღიდან იგი გამარჯვებული დაბრუნდა. თუმცა შემდეგ კონტინენტის პირველობაზე სამწუხაროდ, კვლავ ვერ გამოიჩინა თავი. მიზეზი ამჯერად სხვა იყო. ლაშა გვიან გამოუტყდა მწვრთნელებს, რომ დარბაზში სრულფასოვანი ვარჯიშის შემდეგ შინაც თავდაუზოგავად აგრძელებდა იმავეს და შედეგად სპორტსმენი უბრალოდ გამოიფიტა. **ანზორ თენაძეს** და **ნიკო ბიბილაშვილს** შეგირდის პერსპექტივა ისევ არ დაუყენებიათ ეჭვქვეშ. იმ ეტაპზე კი დასვენება ურჩიეს და მზადების ერთგვარ პასიურ რეჟიმში გადაიყვანეს. „ვშიშობდი, საკუთარი ზედმეტი თვითშემოქმედებით გამოწვეულ ფიზიკურ გამოფიტვას კარიერაში დიდი ხნით იძულებითი პაუზა არ მოეტანა. საბედნიეროდ, უსიამოვნო პერიოდი მალე დასრულდა. არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო პირადი მწვრთნელების მიმართ, რომლებმაც ჩემი იმედი არ დაკარგეს", - იხსენებს ლაშა.

## იაპონური სტილის მიმდევარი

მაინც რას ატყობდნენ კოჭებში დამრიგებლები და რატომ არ კარგავდნენ იმედს? „შავდათუაშვილი სტილით უფრო კლასიკურ, იაპონურ ძიუდოს ჭიდაობს, დინჯი, მოზომილი მოძრაობებით. იგი ფრთხილია და, მართალია, ქულებს მრავლად არ იხვეჭს, მაგრამ თავადაც არ კარგავს, საერთოდ ძნელად ეცემა ტატამზე. მოგეხსენებათ, რომ არსებობენ სპორტსმენები, რომელთაც სულ უნდა უკიჟინო „ივარჯიშეო", მას პირიქით, უნდა დააძალო, რომ ვარჯიში შეწყვიტოს. ღმერთმა ნუ ქნას, მომავალში ტრავმამ ან სხვა რამ გაუთვალისწინებელმა მიზეზმა შეაფერხოს, თორემ სხვა მხრივ, მერწმუნეთ, ლაშა უდავოდ დიდი სპორტსმენი გაიზრდება", - გვითხრა შარშან გორის „სპორტული ცენტრის" ხელმძღვანელმა **გია თენაძემ**.

და მართლაც, შარშან აპრილიდან ლაშამ უკვე სტაბილურად დაიწყო აღმასვლა. ახალგაზრდებში მისთვის ეს ბოლო სეზონი ისევ ბერძნული მუდანიას ტურნირით დაიწყო, სადაც ფინალისტი გახდა. სამ კვირაში საქართველოს 20-წლამდელთა ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაიმარჯვა. შემდეგ უკვე პრაღაში ევროპის თასზე ერთი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა და წინ ამჯერადაც არავინ გაუშვა. წარმატებული გზა ლომელში (ბელგია) ევროპის ჩემპიონატზეც გაგრძელდა. ბელგიაში კარგად გამოჩნდა, რომ ლაშას სპორტული ფორმა სრულად აღედგინა. სამი შეხვედრა იპონით მოიგო, ფინალში კი, მართალია, სლოვენიელი **ანდრეს იერები** დაპირისპირების ნაადრევად დასრულებას გადაურჩა, მაგრამ ბოლო წუთებზე არაქათგამოცლილი, ძლივსლა იდგა ტატამზე, ხოლო ქართველს საერთოდ არ ეტყობოდა დაღლა და მოწინააღმდეგეს სულ აქეთ-იქით „ათრევდა". გორელი ძიუდოისტი მსოფლიოს ჩემპიონატზეც ახლოს იყო ოქროს მედალთან - ერთადერთი მარცხი კორეელ **დონგკიო ლიისთან** არბიტრთა გადაწყვეტილებით იწვნია. მეტოქეებმა ერთმანეთს ქულები ვერ აართვეს და მსაჯებმა გაფრთხილებებით „გაარკვიეს" უძლიერესი. „ჯერ კიდევ პირველი გაფრთხილება იყო სადავო, მაგრამ აი, მეორე „შიდო" რატომ მივიღე, დამიჯერეთ, მართლა ვერ გავიგე და ვერც ვინმემ ამიხსნა არგუმენტირებულად", - გვითხრა სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნების მერე შავდათუაშვილმა.



ლაშა შავდათუაშვილი

## ხუთ თვეში განაღდებული ლიცენზია

უფროსებში მის მიერ პირველად მოგებული შეჯიბრება თბილისის საერთაშორისო ტურნირია. ჩვენი დედაქალაქის ტატამზე შავდათუაშვილმა ყველა ბარიერი ისე გადალახა, რომ ქულაც არ დაუკარგავს. ამ დროს ეროვნულ გუნდს 66 კგ-ში ოლიმპიურ რეიტინგში სახარბიელოდ არ ჰქონია საქმე და **პეტერ ზაიზენბახერმაც** ევროპულ ტურნირებზე ლაშას გამოცდა გადაწყვიტა. ზემოთაც ვთქვით, რომ მას პრაღა კარგად აქვს დაცდილი. ამ ქალაქში ახალგაზრდებიდან მოყოლებული წლეულს თებერვალში უკვე მესამედ იჭიდავა და უწინდელივით ისევ საუკეთესო იყო. ჩეხეთში მოპოვებული წარმატების მერე შავდათუაშვილი საქართველოდან ლიცენზიის უპირველესი კანდიდატი გახდა. დამაგვირგვინებელი აკორდი კი ჩელიაბინსკში, ევროპის ჩემპიონატზე კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლა იყო. ამ ექვსი თვის წინათ ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ შავდათუაშვილი ლონდონის ოლიმპიურ ლიცენზიას დაიმსახურებდა. მაგრამ მან ეს შეძლო - ლაშამ დიდებში გადასვლიდან (ნოემბერი) ხუთ თვეში ოლიმპიადის ლიცენზია (აპრილი) გაინაღდა!

გორის სპორტულ დარბაზებში ხშირად მიწევს სტუმრობა. სპორტსმენებთან არცთუ იშვიათი ურთიერთობისას მათი პიროვნულ თვისებებიც ნათლად ჩანს. ვინც შავდათუაშვილს პირადად იცნობს, მის დასახასიათებლად მხოლოდ საჭიდაო ტალანტზე საუბრით ვერ შემოიფარგლება. შეუძლებელია ხაზი არ გაუსვა მის თავმდაბლობას და ზრდილობას, რაც ყოველთვის თვალშისაცემია. ტატამზე მხრებში გაშლილი და ზვიადი, მის მიღმა მეტად თავმდაბალია. ამას წინათ გორელი თავისუფალი სტილის მოჭიდავე **ოთარ თუშიშვილმა** მითხრა: „ასაკით ჩემზე პატარაა და ამიტომ ლაშას დიდი ხანი არაა, რაც ვიცნობ, თუმცა მასთან ელემენტარულ ურთიერთობასა და ხასიათის თვისებებში მალევე იმდენი დადებითი დავინახე, რომ გადავწყვიტე, ოლიმპიადზე განსაკუთრებით ვუქომაგო! მით უფრო, რომ თანაქალაქელია და ერთ წონით კატეგორიაში გამოვდივართ". ოთართან ერთად ლაშას რასაკვირველია, კიდევ ბევრი ვქომაგობთ.

**ვასილ ბალახაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჭაბუკთა პირველობა

# მარადიული ზოიძე

## 2 ოქრო, 1 ვერცხლი და გუნდური პირველობა კატოვიცეში

პოლონურ კატოვიცეში დასრულებულ ჭაბუკ ბერძენ-რომაელთა ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები - 2 ოქრო, 1 ბრინჯაო და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა. კონტინენტის ჩემპიონები **რამაზ ზოიძე** (46) და **ირაკლი შავაძე** (50) გახდნენ. მესამეზე კი **ნიკა გავაშელი** (76) გავიდა. ქებას იმსახურებს სამწვრთნელო შტაბი **ვაჟა კრავეიშვილის** ხელმძღვანელობით, რომელსაც ამჯერად **ზაზა ჯიბლაძე** და მსოფლიოს ჩემპიონი **დავით ბედინაძე** ეხმარებოდნენ, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ კიდევ 6-მა მოჭიდავემ წააგო ბრინჯაოსთვის გამართული შეხვედრა. მათი მეხუთე ადგილები გუნდურში ძალიან კი ნაგვადგა, მაგრამ აჯობებდა, პირადშიც ყოფილიყო მეტი მედლები და გუნდურში ამ მხრივ დაგვხმარებოდნენ.



ირაკლი შავაძე

### გზა მედლამდე

შავაძე ამ გუნდის დებიუტანტია და ცხადია, ეს მისი პირველი წარმატებაა. ზოიძე შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ევროპაზე მესამე იყო, ოღონდ -42-ში; მეორე სეზონია, ის ჩემპიონის ტიტულს არ თმობს. საინტერესოა, რომ მან ჭიდაობა „თავისუფალში" დაიწყო და დღემდე აგრძელებს ორივეგან გამოსვლას. ის წლეულს ორივე სახეობაში გახდა საქართველოს ჩემპიონი და, შესაბამისად, კვლავაც გრძელდება დავა იმაზე, რომელ ნაკრებში უნდა დარჩეს საბოლოოდ. ვფიქრობთ, ამ მორიგი წარმატებით საბოლოოდ გადაიხრება ბერძნულ-რომაულისკენ.

ზოიძემ ტურნირი უშუალო მეზობლებთან შეხვედრებით დაიწყო და დაასრულა - პირველ მეტოქედ სომეხი **არტურ სიმონიანი** ჰყავდა, ფინალში კი აზერბაიჯანელ **მიხაილ რახმანოვი** დაამარცხა. საინტერესოა, რომ ორივესთან უშელავათო ბრძოლა ჰქონდა და დამატებითი დრო მხოლოდ მათთან დასჭირდა. სომეხთან შეხვედრა წაგებით დაიწყო - 0:1, მაგრამ მეორეში 4:1 აჯობა, დამატებითი კი ფრედ, 2:2 დასრულდა. აქ ჩვენებურს გამარჯვება იმან მოუტანა, რომ ორქულიანი გდება გაუკეთა მეტოქეს, სიმონიანმა კი ორი თითოქულიანი გდება ჩაუტარა. ზოიძემ ფინელი **მიკო პელტოკანგასი** და თურქი **ბატუჰან ბოზქურთი** იოლად დაამარცხა, ძირითად დროში. განსაკუთრებით თურქი დაჩაგრა, რომელსაც მეორე პერიოდში ორჯერ სამქულიანი გდება გაუკეთა, ზედაც ორქულიანი დააყოლა და პერიოდი 8:0, შეხვედრა კი 9:0 მოუგო. ფინალში გარდამტეხი მეორე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც ზოიძემ მინიმალური სხვაობით - 4:3 მოიგო, ანგარიში გაათანაბრა და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. ამ პერიოდში მან თავიდანვე მოიპოვა მეტოქეზე სოლიდური უპირატესობა, რადგან სამქულიანი ილეთი ჩაუტარა - მას მეოთხე ქულა რომც ვერ აეღო და ეს მონაკვეთი ფრედ დასრულებულიყო, მოგება მაინც ქართველს დარჩებოდა უფრო მაღალი შეფასების მქონე ქულის გამო. ზოიძე დამატებითშიც მთელი თავით მაღლა იდგა რახმანოვზე, 3:1 აჯობა და „მარადიულ ჩემპიონად" დარჩა.

შავაძე პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში კი ბერძენ **პანაგიოტის სისმანიდისს** შავი დღე აყარა. განსაკუთრებით - მეორე პერიოდში, რომელიც 7:0 მოუგო, პირველში კი მინიმალური ანგარიშით - 1:0 იმარჯვა. შავაძეს მთელ ტურნირზე ერთადერთი დამატებითი დრო ამის შემდეგ დასჭირდა თურქ **აჰმეტ ინიცილისთან**. ამ შეხვედრაში კარგად გამოჩნდა არსებული წესების ლაფსუსი - ქულებით თურქმა 3:2 მოიგო, მაგრამ პერიოდებში ჩვენებურმა იმარჯვა და შემდეგ წრეშიც გავიდა. შავაძემ პირველ და მესამე პერიოდებში 1:0 იმარჯვა, მეორე კი 0:3 დათმო. თურქზე ბევრად უფრო იოლად გაუსწორდა რუს **რასულ მაგომედოვს**, ვინც უფრო პირველ პერიოდში დაჩაგრა - ჯერ ერთი ქულა აართვა, მერე ორქულიანზე დააგდო, რასაც ბოლოს ისევ ერთი ქულა დაუმატა. მეორე პერიოდში ერთი ქულა აუღო და ფინალში გავიდა, სადაც მისი შეჩერება ვერც სომეხმა **გეგამ ტორგომიანმა** შეძლო - 6:1 ძირითად დროში. საინტერესოა, რომ ქულების უმეტესობა - 5 აქაც პირველ პერიოდზე მოდის.

გავაშელი ჩვენი გუნდიდან ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ლამაზად, სანაობრივად და დამაჯერებლად ჭიდაობდა. პირველ სამ შეხვედრაში, რომლებიც ძირითად დროში მოიგო, მისი სტატისტიკა ასეთია: იტალიელი **ჯაკომო გიუფრიდა** 9:0 დაამარცხა, ხორვატი **მარიო მიჰალი** - 11:0, უკრაინელი **არტემ სუროვიაგინი** - 8:0. ის მომავალ ფინალისტთან, თურქ **ფატიჰ ცენგიზთან** დამარცხდა ნახევარფინალში, ოღონდ აქაც იგივე ლაფსუსია, რაც ზევით შავაძეზე დავწერეთ (ისევ თურქთან მიმართებაში) - ქულებით ჩვენებურმა 6:4 მოიგო, მაგრამ პერიოდებში 1:2 წააგო. არადა, იქაც წარმატებით დაიწყო - თავდაპირველად 6:0 იმარჯვა. მას მოგების კარგი შანსი დამატებითშიც ჰქონდა, როცა ჯერ ჯვარედინი მოვლებიდან უპირებდა გდებას, მერე კი ვერც წრიდან გააგდო. სამაგიეროდ, ეს მეტოქემ გააკეთა და მომგებიანი ქულა მიითვალა.



რამაზ ზოიძე

### მეხუთეების რაზმი

ტურნირი ორ დღეს მიმდინარეობდა და უფრო წარმატებული კვირა აღმოჩნდა - თითო ოქრო-ბრინჯაო ამ დღეს მოვიპოვეთ, თან ექვსივე ქართველმა მედლისთვის იჭიდავა. შაბათს ეს 6-დან ხუთმა მოახერხა, რომელთა შორისაც სამი მოგვარე - შავაძე იყო. სამწუხაროდ, იმათგან საწადელს მხოლოდ ირაკლი შავაძემ უწია. მეხუთე ადგილებზე **თემურ შავაძე** (42), **გიორგი ხუჭუა** (54), **თემურ კვაჭაძე** (58), **მურთაზ ჩაბრავა** (63), **ნუკრი შავაძე** (69) და **ზვიად პატარიძე** (100) გავიდნენ. რამდენიმე ამათგანაც მოგვეწონა - ხუჭუა, კვაჭაძე, ჩაბრავა და მათგან მედალს ველოდით...

ბედის ირონიით, შაბათს ის ერთადერთი ხელმოცარული **ნიკოლოზ კახელაშვილია** (85) - სახელოვანი მწვრთნელის, **დავით დავითაიას** შვილიშვილი, ვისიც გუნდის ხელმძღვანელობას განსაკუთრებულად ეიმედებოდა.

**ირაკლი თავაძე**

შვიდკაცა რაგბი

# შვიდკაცა მოსკოვში მიდის

გაისად, შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც მოსკოვში გაიმართება საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. **კახა ალანიას** გუნდმა ეს საგზური შაბათს პორტუგალიურ ალგარვეში მოიპოვა, სადაც საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა. საჭირო იყო პირველ ხუთეულში გასვლა, ჩვენები კი მე-4 ადგილზე გავიდნენ.

უკვე ვწერდით, რომ ჯგუფი საქართველოს ნაკრებმა მოიგო, გერმანია, ბელგია და საფრანგეთი დაამარცხა. ჯგუფური ეტაპის მიხედვით, საქართველო რეიტინგში მეორე იყო და მე-7 ადგილოსან უკრაინას შეხვდა. მძიმე ბრძოლაში ქართველებმა 19:12 იმარჯვეს და უკვე დაიბევეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში.

ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე მასპინძელთა ნაკრები იყო. სამწუხაროდ, არაობიექტური მსაჯობის გამო (რეფერიმ 6 კაცის ამარა დაგვტოვა) პორტუგალიელებმა იმარჯვეს - 19:12. საქართველომ მესამე ადგილისთვის მატჩიც წააგო საფრანგეთთან, რომელსაც წინა დღით 33:17 მოუგო, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესი მიზანი უკვე მიღწეული იყო.




**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| საქართველო-უკრაინა | 19:12 |

**ლელო:** გეგენავა (2), გოგოლაშვილი
**გარდასახვა:** კვირიკაშვილი, მახარაშვილი

| | |
|---|---|
| პორტუგალია-იტალია | 28:7 |
| საფრანგეთი-შოტლანდია | 26:14 |
| ესპანეთი-გერმანია | 31:07 |

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| საქართველო-პორტუგალია | 12:19 |

**ლელო:** მაჩხანელი, კვირიკაშვილი
**გარდასახვა:** მახარაშვილი

| | |
|---|---|
| ესპანეთი-საფრანგეთი | 24:0 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-ესპანეთი | 7:5 |

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| საქართველო-საფრანგეთი | 12:24 |

**ლელო:** გოგოლაშვილი, ფრუიძე
**გარდასახვა:** კვირიკაშვილი

**მე-5 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| შოტლანდია-იტალია | 24:12 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი

# ტოჩინოშინი კომუსუბი? გაგამარუ მეხუთეა, კოკაი გადარჩა!



ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

ნაგოიას ბაშო წარმატებული გამოდგა ქართველთათვის: **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** კომუსუბის ტიტულის დაბრუნების ერთ-ერთი პირველი კანდიდატია, **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** 10 ორთაბრძოლა მოიგო და ტურნირზე მე-5 ადგილი გაიყო ოძეკებთან ერთად, თვით **ლევან ცაგურიამაც (კოკაი)** კი, რომელმაც 11 ორთაბრძოლა წააგო, ძურიოში ადგილი მაინც შეინარჩუნა.

ტოჩინოშინი აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირაა, მან ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა და სავარაუდოდ, **ტოიონოშიმასგან** გამოთავისუფლებულ კომუსუბის ტიტულს მიიღებს. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ აგვისტოში გამოჩნდება, როცა რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდება. გაგამარუ აღმოსავლეთის მე-7 მაეგაშირაა, მან 10-5 ბალანსით დაასრულა ბაშო და პირველი ან მეორე მაეგაშირა იქნება სექტემბრის ბაშოზე.

იმპერატორის თასი კარიერაში მესამედ მოიგო მონღოლმა **ჰარუმაფუჯიმ**, რომელმაც გუშინ დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** დაამარცხა. ჰარუმაფუჯიმ ანუ მზის ცხენმა პირველად შეძლო 15-ვე ორთაბრძოლის მოგება.

**XIV დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კისენოსატო (ჰატაკიკომი), კოტოშოგიკუ-ბარუტო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კოტოოშუ (ოშიდაში), კაკურიუ-გოეიდო (უბრძოლველად), ტოჩიოძანი-შოჰოზანი (იორიკირი), აოიამა-ტოიონოშიმა (იორიკირი), ჰომაშო-მიოგირიუ (იორიტაოში), ამინიშიკი-ოკინოუმი (უვატედაშინაგე), კიოკუტენჰო-სადანოფუჯი (კატასუკაში), ტამავაშივაკაკოიუ (ჰატაკიკომი), დაიდო-ტაკეკაძე (იორიკირი)), კაისეი-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), **გაგამარუ**-ჩიოტაირიუ (უვატენაგე). **ძურიო:** **კოკაი**-ონიარაში (ოშიდაში).

**ბოლო დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ჰაკუჰო (იორიკირი), კოტოოშუ-კისენოსატო (იორიკირი), კაკურიუ-კოტოშოგიკუ (შიტატენაგე), ბარუტო-არანი (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ტაკაიასუ (იორიკირი), მიოგირიუ-ტაკეკაძე (ოშიდაში), ტოიონოშიმა-ტამაასუკა (იორიკირი), კიოკუტენჰო-ჰოჩიამა (იორიკირი), ამინიშიკი-ტამავაში (უვატედაშინაგე), აოიამა-ტოკიტენკუ (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-დაიდო (იორიკირი), ტოიოჰიბიკი-**გაგამარუ** (იორიკირი). **ძურიო:** ოივატო-**კოკაი** (ოშიდაში).

**საბოლოო მდგომარეობა**

**15-0**: ჰარუმაფუჯი (ოძეკი).
**14-1**: ჰაკუჰო (იოკოძუნა).
**11-4**: კაისეი (მაეგაშირა 8), მასუნოიამა (მ 13).
**10-5**: კისენოსატო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (ოძეკი), **გაგამარუ** (მ 7), დაიდო (მ 13).
**9-6**: კოტოოშუ (ოძეკი), კაკურიუ (ოძეკი), ბარუტო (ოძეკი), **ტოჩინოშინი** (მ 4), არანი (მ 5), ჰომაშო (მ 6), ტოიოჰიბიკი (მ 7), ტოკიტენკუ (მ 9), კიტატაიკი (მ 11).
**8-7**: მიოგირიუ (კომუსუბი), აოიამა (მ 2), შოჰოზანი (მ 3), მიაბიამა (მ 9), ვაკანოსატო (მ 14), ჩიოტაირიუ (მ 15).
**7-8**: გოეიდო (სეკივაკე), ტაკეკაძე (მ 4), შოტენრო (მ 6), იოშიკაძე (მ 8), იკიოი (მ 16).
**6-9**: ამინიშიკი (მ 1), ტაკაიასუ (მ 5), ტაკარაფუჯი (მ10).
**5-10**: ტოიონოშიმა (კომუსუბი), სადანოფუჯი (მ 12), ტაკანოიმა (მ 12), ტოჩინოვაკა (მ 14).
**4-11**: ტოჩიოძანი (სეკივაკე), ოკინოუმი (მ 2).
**3-12**: ვაკაკოიუ (მ 3).
**2-13**: კიოკუტენჰო (მ 1).
**1-14**: ჰოჩიამა (მ 15).

**იმპერატორის ტიტული:** ჰარუმაფუჯი (მესამედ)
**ბრწყინვალე ასპარეზობა:** არავის
**მებრძოლი სული:** კაისეი (მეორედ)
**მებრძოლი სული:** მასუნოიამა (პირველად)
**ტექნიკური რიკიში:** მიოგირიუ (მესამედ)
**ძურიოს ჩემპიონი:** ჩიონოკუნი (პირველად)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საუნივერსიტეტო სპორტი. ხელბურთი

# სტუ პირველში პირველია



ესპანეთის ქალაქ კორდობაში, სადაც ევროპის პირველი საუნივერსიტეტო თამაშები გაიმართა და სპორტის 10 სახეობაში კონტინენტის 2000-მდე სტუდენტი სპორტსმენი იბრძოდა სხვადასხვა სინჯის მედლებისთვის, შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელთა გუნდმა. ქვეჯგუფში ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ დაამარცხეს პორტუგალიის მინიოს, პარიზის კრეტეის და ლიტვის უნივერსიტეტის გუნდები, ესპანური „მალაგა" და ჰოლანდიის „ნაიმეგენი," ფინალში კი ხორვეტიული ოსიეკის ხელბურთელებს მოუგეს 37:24 და პირველი თამაშების ჩემპიონობა მოიპოვეს.

**ვაჟა დანელია**

ალია-ს

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

● საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები



# ჩერნოგორია, კანდიდატი პირველი: საქართველო და ბოსნია

## დღეს გადამწყვეტი ბრძოლაა

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვს. ამისთვის მას ერთი გამარჯვებაღა სჭირდება: თუ დღეს ჩერნოგორიას აჯობებს, ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს და ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლას განაგრძობს. მოგებას ჩერნოგორიელებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს - თუ ჯგუფიდან ქართველებიც გავიდნენ, მაშინ მეორე ეტაპზე კვლავ ერთ ჯგუფში (ოთხგუნდიანი) მოხვდებიან და პირველი ეტაპის შედეგი ავტომატურად გადაჰყვებათ. ასე რომ, ჩვენებსაც აქვთ კარგი შანსი ჩერნოგორიის დამარცხებით არა მხოლოდ პირველობისთვის ბრძოლა განაგრძონ, არამედ მეორე ეტაპი ორი ქულით დაიწყონ.

ჩვენმა კადეტებმა შაბათს იყოჩაღეს და ბოსნიის მძლეველ ესტონეთს 59:52 აჯობეს. გამოსარჩევია **ლუკა ზაქრაძის** თამაში, რომელმაც 20 ქულას მოუყარა თავი. მან სამიდან სამი სამქულიანი გამოიყენა.

**გია კაზანჯიანის** გუნდის მთავარი კონკურენტი (მეორე ადგილისთვის ბრძოლაში) ბოსნიაა, რომელმაც პირველი ჯგუფური ეტაპი 2-2 მოგება-წაგებით დაასრულა. თუ ქართველები ჩერნოგორიას ვერ აჯობებენ, მაშინ მათაც იმდენივე გამარჯვება მოუგროვდებათ, რაც ბოსნიას და ურთიერთშეხვედრაში ნაჩვენები უკეთესი შედეგის წყალობით მომდევნო ეტაპზე ბოსნია გავა. მან 82:52 გვაჯობა. იმ შემთხვევაში, თუ ესტონეთი რუმინეთს მოუგებს, ხოლო ჩვენ და ბოსნიას მათსავით 2-2 გამარჯვება დაგვიგროვდება, ჯგუფიდან მაინც ბოსნია გავა, რომელსაც ბურთების უკეთესი შეფარდება ექნება.

დაველოდოთ ბოლო ტურის შეხვედრებს: 14:30 - საქართველო-ჩერნოგორია, 19:00 - ესტონეთი-რუმინეთი.

**21 ივლისი**

**საქართველო-ესტონეთი 59:52**

16:17, 15:13, 15:9, 13:13

**საქართველო:** ბობილევი (26 წთ, 6ქ, 11მ), ისიანი (28 წთ, 2ქ, 6მ), გოგალაძე (15 წთ, 4ქ, 2პ), გუგეშაშვილი (11 წთ, 7ქ), რევაზაშვილი (10 წთ, 2ქ), ზაქრაძე (36 წთ, 20ქ, 4მ, 3პ), პეტრიაშვილი (17 წთ, 3ქ), ლომიძე (19 წთ, 10ქ), მაჭავარიანი (16 წთ, 4მ), მასხულია (23 წთ, 5ქ).

**ესტონეთი:** ლილი (4ქ), ლაანისტო (2ქ), კურვიტსი (7ქ, 12მ), რუსააკი (10ქ, 8მ), ლელე (1ქ), კაბინი (8ქ), მეიმერი (8ქ), რეინარტი (10ქ), ლიპსი (2ქ).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 3 | 3 | 0 | 242/176 | 6 |
| 2. ბოსნია | 4 | 2 | 2 | 317/294 | 6 |
| 3. საქართველო | 3 | 2 | 1 | 166/185 | 5 |
| 4. ესტონეთი | 3 | 1 | 2 | 180/224 | 4 |
| 5. რუმინეთი | 3 | 0 | 3 | 170/196 | 3 |

● ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# მეთექვსმეტე

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ბოლო მატჩი ჩაატარა. ჩვენმა გუნდმა შეჯიბრება ბოლო, მე-16 ადგილზე დაასრულა, თუმცა გაისადაც 20-წლამდელთა ევროპის პირველობაზე ითამაშებს. საქმე ისაა, რომ ამ შეჯიბრებაში 2013 წლიდან მონაწილეთა რაოდენობა გაიზრდება და ელიტის 16 გუნდს მეორე ლიგიდან ოთხი დაემატება.

გუშინ და გუშინწინ ქართველებმა დასკვნითი ორი შეხვედრა გამართეს, ჯერ ჩერნოგორიას ეთამაშნენ, შემდეგ - შვედეთს. ექსიუგოსლავიელებთან მატჩი ჩვენმა გუნდმა არადამაჯერებლად დაიწყო, მე-11 წუთისთვის 7:28-ს აგებდა. თუმცა **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა მეორე პერიოდში თამაში გამოასწორეს და თითქმის უიმედო შეხვედრა კინაღამ მოიგეს. საფინალო სირენამდე 1:15 წუთით ადრე ტაბლოზე თანაბარი ანგარიში ეწერა - 78:78. დარჩენილ დროში ჩერნოგორიელებმა უკეთესად ითამაშეს და მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს.

საპირისპირო სცენარით წარიმართა მომდევნო მატჩი. ჩვენმა 20-წლამდელებმა შვედეთთან პირველი ტაიმი კარგად ჩაატარეს, მეორე ნახევარში კი ვერაფერი გააწყვეს და 67:81 დამარცხდნენ.

ქართველებმა აწ უკვე განვლილ ევროპირველობაზე 9 თამაში გამართეს და ერთი მოიგეს (ესტონეთთან). შესაბამისად, ჩვენი გუნდის გამოსვლას დადებითად ნამდვილად ვერ შევაფასებთ, თუმცა ისიც არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ბიჭებმა უკეთესი შედეგის საჩვენებლად ძალა არ დაიშურეს.

**ქართველთა ყველა მატჩი**

**I ეტაპი**

| | |
|---|---|
| საქართველო-ლატვია | 50:88 |
| საქართველო-თურქეთი | 67:103 |
| საქართველო-ესპანეთი | 49:111 |

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 254/160 | 6 |
| 2. თურქეთი | 3 | 2 | 1 | 227/207 | 5 |
| 3. ლატვია | 3 | 1 | 2 | 200/178 | 4 |
| 4. საქართველო | 3 | 0 | 3 | 166/302 | 3 |

**XIII-XVI ადგილები**

| | |
|---|---|
| საქართველო-ესტონეთი | 73:87 |
| საქართველო-ჩერნოგორია | 65:81 |
| საქართველო-შვედეთი | 64:87 |
| საქართველო-ესტონეთი | 75:72 |

**21 ივლისი**

**საქართველო-ჩერნოგორია 82:83**

7:26, 25:14, 24:21, 26:22

**საქართველო:** ფხაკაძე (26 წთ, 7ქ, 5პ), სანაძე (34 წთ, 20ქ, 11მ, 5ფ), ბოქოლიშვილი (32 წთ, 11ქ, 3პ), თენიეშვილი (33 წთ, 15ქ, 6მ), ალხანაიძე (7 წთ, 3ქ), როგავა (22 წთ, 8ქ, 4პ), ლომინაშვილი (8 წთ), ბურჯანაძე (37 წთ, 18ქ, 7მ, 2ჩ, 5ფ).



**ჩერნოგორია:** პაიოვიჩი (11ქ, 8პ), ნიკოლიჩი (14ქ), გრაბოვიცა (10ქ), რაიკოვიჩი (7ქ, 9მ), მუგოსა (22ქ), პავიჩი (15ქ, 8მ), უნკასევიჩი (4ქ).

**22 ივლისი**

**საქართველო-შვედეთი 67:81**

21:21, 21:22, 11:27, 14:11

**საქართველო:** სანაძე (38 წთ, 27ქ, 8მ, 2ჩ), ბოქოლიშვილი (39 წთ, 10ქ, 2პ), ჯავახიშვილი (9 წთ, 4ქ), მაჩალაძე (14 წთ, 2ქ, 5მ), თენიეშვილი (28 წთ, 9ქ, 6მ, 2პ), როგავა (25 წთ, 4ქ, 5ფ), ლომინაშვილი (18 წთ, 2ქ), ბურჯანაძე (29 წთ, 9ქ, 10მ, 2დ).

**შვედეთი:** პერსონი (7ქ), ბარტონი (15ქ), გადეფორსი (15ქ, 9მ, 6პ), ბორგი (10ქ), ერიქსონი (11ქ), ანდერსონი (4ქ), გუტენიუსი (15ქ), ოპრნერი (2ქ), ისაკსონი (2ქ).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 6 | 5 | 1 | 448/401 | 11 |
| 2. ჩერნოგორია | 6 | 4 | 2 | 473/414 | 10 |
| 3. ესტონეთი | 6 | 2 | 4 | 426/467 | 8 |
| 4. საქართველო | 6 | 1 | 5 | 426/491 | 7 |

## საქართველოს ნაკრები ციფრებში

### საერთო მონაცემები

| მოთამაშე | თ | წთ | 2+3ქ | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.მეტ. | მ.საკ. | მ.სულ. | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დუდა სანაძე | 9 | 318 | 48/145 | 33.1 | 31/71 | 43.7 | 17/74 | 23.0 | 42/51 | 82.4 | 14 | 34 | 48 | 11 | 24 | 9 | 5 | 20 | 49 | 155 |
| ბექა ბურჯანაძე | 9 | 299 | 56/143 | 39.2 | 40/90 | 44.4 | 16/53 | 30.2 | 20/30 | 66.7 | 26 | 50 | 76 | 8 | 12 | 4 | 4 | 25 | 33 | 148 |
| მერაბ ბოქოლიშვილი | 9 | 289 | 23/82 | 28.0 | 17/51 | 33.3 | 6/31 | 19.4 | 22/33 | 66.7 | 5 | 14 | 19 | 19 | 24 | 2 | 0 | 19 | 28 | 74 |
| ნოდარ თენიეშვილი | 9 | 231 | 23/47 | 48.9 | 20/35 | 57.1 | 3/12 | 25.0 | 9/19 | 47.4 | 16 | 31 | 47 | 10 | 12 | 5 | 1 | 26 | 17 | 58 |
| ირაკლი ალხანაიძე | 8 | 119 | 18/33 | 54.5 | 18/33 | 54.5 | 0/0 | 0.0 | 12/17 | 70.6 | 19 | 17 | 36 | 2 | 6 | 3 | 0 | 25 | 13 | 48 |
| ოთარ ფხაკაძე | 8 | 215 | 13/43 | 30.2 | 7/17 | 41.2 | 6/26 | 23.1 | 9/11 | 81.8 | 4 | 12 | 16 | 30 | 35 | 6 | 0 | 20 | 19 | 41 |
| რეზო როგავა | 9 | 125 | 13/30 | 43.3 | 6/14 | 42.9 | 7/16 | 43.8 | 7/7 | 100.0 | 1 | 14 | 15 | 9 | 14 | 0 | 0 | 21 | 9 | 40 |
| ავთანდილ ლომინაშვილი | 9 | 89 | 5/18 | 27.8 | 5/18 | 27.8 | 0/0 | 0.0 | 6/12 | 50.0 | 7 | 12 | 19 | 3 | 9 | 0 | 1 | 21 | 7 | 16 |
| გოგა ჯავახიშვილი | 4 | 22 | 2/3 | 66.7 | 2/3 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 3 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 1 | 3 | 4 | 6 |
| ზურაბ მაჩალაძე | 5 | 52 | 1/4 | 25.0 | 1/4 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 1/4 | 25.0 | 6 | 5 | 11 | 0 | 1 | 2 | 1 | 15 | 3 | 3 |
| გიორგი ტეტელაშვილი | 4 | 39 | 0/4 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 3/8 | 37.5 | 3 | 1 | 4 | 2 | 7 | 1 | 0 | 10 | 8 | 3 |
| ლევან ელიაძე | 1 | 1 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 16 | 17 | 33 | | 7 | | | 1 | | |
| ჯამი | 9 | | 202/552 | 36.6 | 147/338 | 43.5 | 55/214 | 25.7 | 133/196 | 67.9 | 120 | 207 | 327 | 94 | 152 | 32 | 13 | 206 | 190 | 592 |

### საშუალო მონაცემები

| მოთამაშე | თ | წთ | 2+3ქ | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.მეტ. | მ.საკ. | მ.სულ. | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დუდა სანაძე | 9 | 35.3 | 5.3/16.1 | 33.1 | 3.4/7.9 | 43.7 | 2/8 | 23.0 | 4.7/5.7 | 82.4 | 1.6 | 3.8 | 5.3 | 1.2 | 2.7 | 1.0 | 0.6 | 2.2 | 5.4 | 17.2 |
| ბექა ბურჯანაძე | 9 | 33.2 | 6.2/15.9 | 39.2 | 4.4/10.0 | 44.4 | 2/6 | 30.2 | 2.2/3.3 | 66.7 | 2.9 | 5.6 | 8.4 | 0.9 | 1.3 | 0.4 | 0.4 | 2.8 | 3.7 | 16.4 |
| მერაბ ბოქოლიშვილი | 9 | 32.1 | 2.6/9.1 | 28.0 | 1.9/5.7 | 33.3 | 1/3 | 19.4 | 2.4/3.7 | 66.7 | 0.6 | 1.6 | 2.1 | 2.1 | 2.7 | 0.2 | 0.0 | 2.1 | 3.1 | 8.2 |
| ნოდარ თენიეშვილი | 9 | 25.7 | 2.6/5.2 | 48.9 | 2.2/3.9 | 57.1 | 0/1 | 25.0 | 1.0/2.1 | 47.4 | 1.8 | 3.4 | 5.2 | 1.1 | 1.3 | 0.6 | 0.1 | 2.9 | 1.9 | 6.4 |
| ირაკლი ალხანაიძე | 8 | 14.9 | 2.3/4.1 | 54.5 | 2.3/4.1 | 54.5 | 0/0 | 0.0 | 1.5/2.1 | 70.6 | 2.4 | 2.1 | 4.5 | 0.3 | 0.8 | 0.4 | 0.0 | 3.1 | 1.6 | 6.0 |
| ოთარ ფხაკაძე | 8 | 26.9 | 1.6/5.4 | 30.2 | 0.9/2.1 | 41.2 | 1/3 | 23.1 | 1.1/1.4 | 81.8 | 0.5 | 1.5 | 2.0 | 3.8 | 4.4 | 0.8 | 0.0 | 2.5 | 2.4 | 5.1 |
| რეზო როგავა | 9 | 13.9 | 1.4/3.3 | 43.3 | 0.7/1.6 | 42.9 | 1/2 | 43.8 | 0.8/0.8 | 100.0 | 0.1 | 1.6 | 1.7 | 1.0 | 1.6 | 0.0 | 0.0 | 2.3 | 1.0 | 4.4 |
| ავთანდილ ლომინაშვილი | 9 | 9.9 | 0.6/2.0 | 27.8 | 0.6/2.0 | 27.8 | 0/0 | 0.0 | 0.7/1.3 | 50.0 | 0.8 | 1.3 | 2.1 | 0.3 | 1.0 | 0.0 | 0.1 | 2.3 | 0.8 | 1.8 |
| გოგა ჯავახიშვილი | 4 | 5.5 | 0.5/0.8 | 66.7 | 0.5/0.8 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 0.5/1.0 | 50.0 | 0.8 | 0.0 | 0.8 | 0.0 | 0.3 | 0.0 | 0.3 | 0.8 | 1.0 | 1.5 |
| გიორგი ტეტელაშვილი | 4 | 9.8 | 0.0/1.0 | 0.0 | 0.0/0.5 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0.8/2.0 | 37.5 | 0.8 | 0.3 | 1.0 | 0.5 | 1.8 | 0.3 | 0.0 | 2.5 | 2.0 | 0.8 |
| ზურაბ მაჩალაძე | 5 | 10.4 | 0.2/0.8 | 25.0 | 0.2/0.8 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 0.2/0.8 | 25.0 | 1.2 | 1.0 | 2.2 | 0.0 | 0.2 | 0.4 | 0.2 | 3.0 | 0.6 | 0.6 |
| ლევან ელიაძე | 1 | 1.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0.0/0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 1.8 | 1.9 | 3.7 | | 0.8 | | | 0.1 | | |
| ჯამი | 9 | | 22.4/61.3 | 36.6 | 16.3/37.6 | 43.5 | 6.1/23.8 | 25.7 | 14.8/21.8 | 67.9 | 13.3 | 23.0 | 36.3 | 10.4 | 16.9 | 3.6 | 1.4 | 22.9 | 21.1 | 65.8 |

## ახალგაზრდული ნაკრები. ისტორია

| სეზონი | ჩემპიონატი | ადგ. | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2012 | 20-წლამდელთა ევროპა | 16 ად. | 9 | 1 | 8 | 65.8/88.1 |
| 2011 | 20-წლამდელთა ევროპა (B დივიზიონი) | | 9 | 8 | 1 | 82.8/75.2 |
| 2010 | 20-წლამდელთა ევროპა (B დივიზიონი) | | 7 | 5 | 2 | 80.0/75.6 |
| 2009 | 20-წლამდელთა ევროპა (B დივიზიონი) | | 8 | 3 | 5 | 73.3/71.9 |
| 2008 | 20-წლამდელთა ევროპა | 16 ად. | 6 | 1 | 5 | 70.8/82.3 |
| 2007 | 20-წლამდელთა ევროპა | 12 ად. | 8 | 2 | 6 | 74.0/86.6 |
| 2006 | 20-წლამდელთა ევროპა (B დივიზიონი) | | 8 | 6 | 2 | 87.8/78.3 |
| 2005 | 20-წლამდელთა ევროპა (B დივიზიონი) | | 8 | 4 | 4 | 76.4/73.6 |
| 2002 | ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი | | 5 | 3 | 2 | 80.0/79.8 |
| 1998 | 22-წლამდელთა ევროპა | | 5 | 1 | 4 | 76.6/90.2 |
| 1996 | 22-წლამდელთა ევროპა | | 6 | 2 | 4 | 77.5/83.0 |
| 1994 | 22-წლამდელთა ევროპა | | 4 | 1 | 3 | 63.8/94.0 |

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**



● მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა


ელენა ისინბაევა

# უშედეგო ელენა

ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი კვირით ნაკლები დარჩა, თუმცა ცნობილია, რომ მძლეოსნები ლონდონში ოდნავ მოგვიანებით ჩაერთვებიან ბრძოლაში. მანამდე კი, ზაფხულის თამაშებამდე ბოლო ოფიციალური სტარტი მონაკოში შედგა - აქ გაიმართა „ბრილიანტის ლიგის" მეცხრე ეტაპი. თუ წინა ტურნირი ლონდონში შემადგენლობის მხრივ, მაინცდამაინც ვარსკვლავური არ ყოფილა, ამჯერად ორგანიზატორებმა მოინდომეს და მონტე კარლოში რამდენიმე დისციპლინაში ოლიმპიადის მთავარი ფავორიტი ვიხილეთ.

დიდ ინტერესს იწვევდა ლეგენდარული რუსი ჭოკით მხტომელის **ელენა ისინბაევას** გამოსვლა. მისთვის ეს მხოლოდ მეორე სტარტი იყო სეზონში - პირველი 10 ივლისს საფრანგეთში შედგა და იქ მან 4.75 მეტრით მოიგო. მონაკოს სტარტი ელენასთვის განსაკუთრებულია, რადგან ის ოფიციალურად სწორედ აქ ცხოვრობს. და სწორედ აქ, პეკინის ოლიმპიადამდე ორი კვირით ადრე, რუსმა მსოფლიოს რეკორდი (5.04 მეტრი) დაამყარა. თუმცა, იმ სეზონის წლევანდელთან შედარება არ შეიძლება - მაშინ ისინბაევა აშკარა ფავორიტი იყო, ახლა კი სულ სხვა სიტუაციაა, რაც რუსის არასტაბილურობით არის გამოწვეული. მას ისევ შეუძლია მაღალი შედეგების ჩვენება, რასაც ადასტურებს წელს, სტოკჰოლმში დარბაზებისთვის დამყარებული მსოფლიოს ახალი რეკორდი, მაგრამ ამგვარ ტრიუმფებს უფრო იმედგაცრუებები სჭარბობენ.

მონტე კარლოში ისინბაევას თითქმის ყველა ძირითადი კონკურენტი ჩავიდა - **ანა როგოვსკა, ფაბიანა მიურერი, სვეტლანა ფეოფანოვა, სილვე შპიგელბურგი**... ელენამ გამოტოვა რამდენიმე სიმაღლე და სტარტი 4.70 მეტრზე დაგეგმა. იმ დროისთვის ყველა კონკურენტი შემორჩენილი იყო ხტომის სექტორში. გამონაკლისი მხოლოდ როგოსკა გახლდათ, რომელმაც 4.45 მეტრი ვერ აიღო.

ისინბაევას აშკარად ეტყობოდა სატურნირო პრაქტიკის დეფიციტი. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა რუსი ვერ გაუმკლავდა სასტარტო სიმაღლეს. იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ის ახლოს იყო სიმაღლის აღებასთან - მეორე და მესამე ცდაზე მან თამასა აფრენისას ჩამოაგდო. საბოლოოდ, ელენა შედეგის გარეშე დარჩა. იმ დღეს 4.70 მეტრი მხოლოდ შპიგელბურგმა აიღო, მანვე 4.82 მეტრზეც წარმატებით იფრინა და თავისი პირადი რეკორდი ექვსი სანტიმეტრით გააუმჯობესა.

■ ■ ■

ისინბაევა ოლიმპიადის ერთადერთი ფავორიტი არ იყო, ვინც მონაკოს სტარტი ჩააგდო. ქალებს შორის 800 მეტრზე მორბენალმა, სამხრეთაფრიკელმა **კასტერ სემენიამ** მეცხრე ადგილზე დაასრულა დისტანცია. შორს არ წასულა მისი ერთ-ერთი კონკურენტი **მირიამ იუსუფ ჯამალი** - მერვე ადგილი.

საინტერესო დუელი იყო მოსალოდნელი 400 მეტრზე მამაკაცებს შორის - აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლონდონის მთავარი ფავორიტები - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, გრანადელი **კირანი ჯეიმსი** და ამერიკელი **ლაშოუნ მერიტი**. ვერც ერთმა ვერ მოახერხა გამარჯვება. უფრო მეტიც, მერიტმა ფინალური გარბენი ბოლო ვირაჟის დროს მიატოვა. პირველი ფინიშთან ბელგიელი **ჯონათან ბორლი** მივიდა, რომელმაც ორი მეასედი მოუგო ჯეიმსს. კიდევ ერთმა ბორლიმ - **კევინმა** მესამე ადგილი დაიკავა.

კიდევ ერთი ევროპული ტრიუმფი შედგა ქალებს შორის 400 მეტრზე თარჯრბენში, სადაც **ჟუჟანა ჰეინოვამ ლაშინდა დემუსსა და მელანი უოკერს** გაასწრო. აღვნიშნავთ 1500 მეტრზე **ასბელ კიპრანის** მორიგ გამარჯვებას - კენიელმა მონაკოში სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა - 3.28,88.

ტექნიკური სახეობებიდან გამოვყოფთ დიდხნიანი შესვენების შემდეგ **ირვინგ სალადინოს** გამარჯვებას. პანამელი პირველ ცდაზე 8.16 მეტრზე გადახტა. **მიჩელ უოტი** მთელი ტურნირის განმავლობაში ცდილობდა სალადინოს დაწევას, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხა, მასთან ოთხი სანტიმეტრით მიახლოება იყო.

მძლეოსნობაში შემდეგი სტარტი თავად ოლიმპიადა იქნება. მძლეოსნები ლონდონში გამოსვლას სამ აგვისტოს დაიწყებენ.

● კალათბურთი

## ჟალგირისი ძლიერდება

ლიტვურმა გრანდმა - კაუნასის „ჟალგირისმა" ორი მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა - ამ გუნდში გადავიდნენ ამერიკელი მცველი **ტრემელ დარდენი** და ლიტველი მცველი **დარიუშ ლავრინოვიჩი**. ტრემელმა „1+1" სისტემით გააფორმა კონტრაქტი, ლავრინოვიჩის ხელშეკრულება ორწლიანია.

31 წლის დარდენმა შარშანდელი სეზონი ესპანეთის „უნიკახაში" გაატარა და საშუალოდ 8.0 ქულა და 3.3 მოხსნა დააგროვა. 33 წლის ლავრინოვიჩს შარშან, მოსკოვის ცსკა-ში შეზღუდული სათამაშო დრო ჰქონდა და 11.9 წუთში 4.7 ქულისა და 2.7 მოხსნის მოხვეჭას ასწრებდა.

## კობი ესპანეთში დაასრულებს?

საინტერესო განცხადება გააკეთა ბარსელონაში მყოფმა კობი ბრაიანტმა. „ლეიკერსის" მცველის თქმით, მან, შესაძლოა, კარიერა კატალონურ გრანდში დაასრულოს.

*„არ არის გამორიცხული, სამი წლის შემდეგ „ბარსელონაში" აღმოვჩნდე. წინააღმდეგი არ ვარ, კარიერა ესპანეთში დავასრულო. მაგრამ თუ სიმართლე გაინტერესებთ, მე „რეალს" ავირჩევდი, მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა" მიყვარს"*, - ამბობს ბრაიანტი.

● ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# დიდი კონცერტი დახურვის ცერემონიაზე

ოლიმპიადის გახსნამდე ხუთი დღე დარჩა. გახსნის ცერემონიის შემდეგ, 200-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენი 16 დღის განმავლობაში მედლების 302 კომპლექტს გაითამაშებს. ამის შემდეგ კი ოლიმპიადა დაიხურება და ოლიმპიურ დროშას რიო-დე-ჟანეიროს გადასცემენ. შაბათს ცნობილი გახდა დახურვის ცერემონიის ზოგიერთი დეტალი.

ბრიტანელებმა ოლიმპიადისთვის გამოსამშვიდობებლად ქვეყნის პოპ-მუსიკის საუკეთესო წარმომადგენლების მიწვევა გადაწყვიტეს. ჯგუფები - Take That, The Queen, Pet Shop Boys, Kaiser Chiefs, Elbow, One Direction, Oasis - ეს არის შემსრულებელთა არასრული სია. როგორც „ტელეგრაფი" წერს, სპეციალურად დახურვის ცერემონიისთვის ერთი დღით აღდგება ჯგუფი Spice Girls. სხვათა შორის, ორგანიზატორებს დიდი ხანი დასჭირდათ **ვიქტორია ბექჰემის** დაყოლიება ძველი რეპერტუარიდან სიმღერების შესასრულებლად, მაგრამ ახლა თანხმობა მიღებულია. ასე რომ, ოლიმპიადა ბექჰემების გარეშე არ დარჩება. როგორც ცნობილია, ვიქტორიას მეუღლე - **დევიდ ბექჰემი** არ შეიყვანეს ბრიტანეთის საფეხბურთო ნაკრებში.

როგორც უკვე ვწერდით, არსებობს ვარიანტი, რომლის მიხედვითაც გახსნის ცერემონიაზე დევიდი დაანთებს მთავარ ოლიმპიურ ცეცხლს, მაგრამ თავად ფეხბურთელი ამაზე კატეგორიულ უარს ამბობს - მისი თქმით, ეს მისია ოლიმპიურ ჩემპიონს უნდა დაეკისროს.

შოუს ბოლო ნომერი იქნება ჯგუფ The Who-ს გამოსვლა, რომელთა კომპოზიციის ფონზე იცეკვებს ბალერინა **დარსი ბასელი** და თან ოლიმპიური ცეცხლი ნელ-ნელა ჩაქრება. ასევე გაიჟღერებს Queen-ის ლეგენდარული სიმღერა - Bohemian Rhapsody, გარდა ამისა, პატივს მიაგებენ ლეგენდარული **ჯონ ლენონის** ხსოვნას. ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ ბრიტანელი სუპერმოდელები **კეიტ მოსი, ნაომი კემპბელი, ლილი კოული და ჯორჯია მეი ჯეგერი** - ისინი პოდიუმზე **დევიდ ბოუის** ჰიტების - Fashion-ისა და Rebel Rebel-ის ფონზე ჩაივლიან.

იმ დროს, როცა 10 ათასი სპორტსმენი სარბენ ბილიკზე ჩაივლის, დიდ ეკრანებზე გეგმავენ ოლიმპიადის საუკეთესო მომენტების ჩვენებას, ამასთან, სრულ პროგრამას ორგანიზატორები არ ამხელენ. *„გვინდა რამდენიმე სიურპრიზი საიდუმლოდ დავტოვოთ"*, - განაცხადა ღონისძიების კრეატიულმა დირექტორმა **კიმ გავენმა**. მან დაამატა, რომ ცერემონიის ყველა მონაწილე ჰონორარის სახით, სიმბოლურ ერთ ფუნტს მიიღებს.

ოლიმპიურ ესტაფეტას ბრაზილიელი სუპერმოდელი **ალესანდრა ამბროსიო** გადაიბარებს.


ლონდონის ოლიმპიური სტადიონი

# ცეცხლი უკვე ლონდონშია



ფაბრის მუამბა

ოლიმპიური ცეცხლი ლონდონში ჩავიდა, სადაც, 27 ივლისს, თამაშების გახსნის ცერემონიაზე დაასრულებს თავის მოგზაურობას. შაბათიდან მოყოლებული, ჩირაღდნის ესტაფეტა ბრიტანეთის დედაქალაქის ყველა რაიონს მოივლის და მას დაახლოებით 11 მილიონი ადამიანი იხილავს.

გახსნის ცერემონიაზე ჩირაღდანს მდინარე ტემზას გავლით ნავით მიიტანენ. გარდა ამისა, ჩირაღდანს დაამაგრებენ მეტროს მატარებელზე, თუმცა რომელ ხაზზე და რომელ სადგურზე მოხდება ეს, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე ჯერ არ აცხადებენ.

ოლიმპიური ცეცხლის ლონდონში მიტანას ერთი უსიამოვნო ისტორია ახლავს თან. ესტაფეტის დროს ბრბოდან გამოვარდა 17 წლის ახალგაზრდა, რომელმაც სცადა ჩირაღდანი გამოეგლიჯა პოლონელი **ანა სკორისთვის**, მაგრამ სპორტსმენი არ დაიბნა და წინააღმდეგობა გაუწია თავდამსხმელს, რის შემდეგაც, პოლიციელებმა სწრაფად გაიყვანეს ის ინციდენტის ადგილიდან.

ლონდონამდე ოლიმპიურმა ჩირაღდანმა თითქმის 13 ათასი კილომეტრი დაფარა. ესტაფეტამ სტარტი 18 მაისს, ლენდს-ენდის კონცხიდან აიღო, სულ კი მასში რვა ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

■ ■ ■

საინტერესოა, რომ გუშინ, ოლიმპიურ ესტაფეტაში მონაწილეობა მიიღო „ბოლტონის" ნახევარმცველმა **ფაბრის მუამბამ**. შეგახსენებთ, რომ ეს ის ფეხბურთელია, რომელმაც 17 მარტს, „ტოტენჰემთან" მატჩის დროს გულის შეტევა გადაიტანა. 24 წლის მოთამაშეს გული 78 წუთით გაუჩერდა, მაგრამ გადარჩა და საავადმყოფოში ოთხი თვე გაატარა.

# პაუმ არგენტინასაც მოუგო

როგორც მოსალოდნელი იყო, ესპანეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე თავისი გუნდის მედროშედ ესპანეთის საკალათბურთო ნაკრების ლიდერი **პაუ გასოლი** აირჩია - ის ტრავმირებული ჩოგბურთელის **რაფაელ ნადალის** ნაცვლად ჩაიბარებს ესპანეთის დროშას.

გასოლისთვის ეს იქნება მესამე ოლიმპიადა კარიერაში. 2008 წელს, პეკინში ესპანეთის ნაკრებმა ფინალი წააგო ამერიკასთან და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ესპანელები აგრძელებენ ოლიმპიადისთვის მზადებას და შაბათს, მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. ამჯერად, მათი მეტოქე არგენტინის ნაკრები იყო. **სერჯო სკარიოლოს** გუნდმა პირველმა მეოთხედში გადაწყვიტა მატჩის ბედი - ესპანეთმა საწყისი 10 წუთი 20 ქულის სხვაობით მოიგო - 33:13. ზუსტად ეს სხვაობა დაფიქსირდა საფინალო სირენის შემდეგ - 105:85 (33:13, 28:23, 22:31, 22:18).

ესპანეთის რიგებში ერთბაშად შვიდმა კალათბურთელმა მიაღწია 10-ქულიან ზღვარს და მათგან ყველაზე შედეგიანი სწორედ პაუ გასოლი იყო - 17 ქულა. საერთოდ, ესპანელები ფანტასტიკური სიზუსტით ესროდნენ - ორქულიანების 57 პროცენტი, სამქულიანები - 51 პროცენტი.

არგენტინელთა ნაკრებში 19 და 18 ქულა დააგროვეს **მანუ ჯინობილიმ** და **ლუის სკოლამ**. კიდევ ორი ვეტერანი იყო შედეგიანი - **ნოჩიონიმ** და **დელფინომ**, შესაბამისად, 16 და 14 ქულა მიითვალეს.

■ ■ ■

გასოლთან დაკავშირებული კიდევ ერთი ინფორმაცია მის მომავალ კარიერას შეეხება. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** დარწმუნებით თქვა, რომ ესპანელი კალიფორნიულ კლუბს არ დატოვებს.

პაუ ლოს ანჯელესში 2008 წლიდან თამაშობს, მაგრამ ამ ზაფხულს მისი გვარი ხშირად ფიგურირებს შესაძლებელ ტრეიდებში.

*„სანამ მე აქ ვარ, პაუ არსად არ წავა"*, - დარწმუნებით ამბობს ბრაიანტი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


პაუ გასოლი

ჩოგბურთი



ჯოკოვიჩი და შარაპოვა

# ვარჯიში მარიასთან ერთად

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გულშემატკივრებს ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადების შესახებ მოუყვა. მზადების ერთ დღეს, სერბ ჩოგბურთელს პარტნიორობას რუსი ვარსკვლავი **მარია შარაპოვა** უწევდა.

*„ოფიციალურად განვაახლე ვარჯიშები. ერთხელ მარიასთან ერთად ვივარჯიშე. დამიჯერეთ, არც ისე იოლი იყო მის წინააღმდეგ თამაში“*, - დაწერა თავის მიკრობლოგში სერბმა ჩოგბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის ოლიმპიადაზე ჯოკოვიჩმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ერთეულთა თანრიგში. ნახევარფინალი მან **რაფაელ ნადალთან** წააგო, რის შემდეგაც, მესამე ადგილისთვის მატჩში დაამარცხა ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი**.

# ნადალი: მხოლოდ ჯანმრთელი დავბრუნდები

ესპანელმა ჩოგბურთელმა **რაფაელ ნადალმა** პრესასთან თავისი დაბრუნების სავარაუდო ვადებზე ილაპარაკა. როგორც იცით, მუხლის ტრავმის რეციდივის გამო, მსოფლიოს მესამე ჩოგანს ლონდონის ოლიმპიადის გამოტოვება უწევს.

*„ტურნირები არასოდეს მთავრდება, ასე რომ, შევეცდები კარგად მოვემზადო ამერიკული საპარდო სეზონისთვის*, - ამბობს ნადალი სააგენტო „როიტერთან“ კომენტარში. - *მეორე მხრივ, არ ღირს მოვლენათა ფორსირება. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება აღდგენითი პროცესი“.*

*„კორტზე მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, როცა ჩემი მუხლი ბოლომდე მწყობრში იქნება. არ მინდა მოედანზე ცუდი შეგრძნებებით გამოსვლა, რადგან ეს საშინელებაა“*, - აღიარა ესპანელმა.



რაფაელ ნადალი

ფორმულა 1

## ზაუბერი და ფოლქსვაგენი ერთიანდებიან?

ფორმულა 1-ის კერძო გუნდის - „ზაუბერის“ ხელმძღვანელმა **პეტერ ზაუბერმა** განაცხადა, რომ მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატში, შესაძლოა, გერმანულ კონცერნ „ფოლქსვაგენთან“ გაერთიანდეს.

*„მართლაც არსებობს ჭორები ფორმულა 1-ში ჩვენი თანამშრომლობის შესახებ. ჟენევის ავტოსალონში შევხვდი „ფოლქსვაგენის“ შეფს მარტინ ვინტერკორნს. ბუნებრივია, ვერ გავამხელ ჩვენი საუბრის შინაარსს“*, - განაცხადა ზაუბერმა „ბლიკთან“ ინტერვიუში.

ჟურნალისტების ინფორმაციით, ზაუბერი და ვინტერკორნი ერთმანეთს „მერსედესის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა **იურგენ ჰაბერტმა** შეახვედრა.

## დე ვილიოტა სახლში გაუშვეს

„მარუსია რეისინგის“ ტესტპილოტი **მარია დე ვილიოტა** საავადმყოფოდან გამოწერეს. საშინელი ავარიის შემდეგ, ის ინგლისში მკურნალობდა და ახლა შეუძლია, აღდგენითი პროცესი მშობლიურ ესპანეთში გააგრძელოს. რუსული საჯინიბოს წარმომადგენლის სიტყვებით: „ბოლო ორი კვირის განმავლობაში მარიას ჯანმრთელობა შესამჩნევად გაუმჯობესდა“.

შეგახსენებთ, რომ 3 ივლისს, ბრიტანეთის გრანპრის წინ, დე ვილიოტა დაქსფორდში გამართული ტესტების დროს სატვირთო მანქანას შეეჯახა. უმძიმესი ტრავმების შედეგად, ესპანელმა ქალმა პილოტმა მარჯვენა თვალი დაკარგა.

ფორმულა 1. გერმანიის გრანპრი

# ალონსოს ჰეთ-თრიკი

**ფერნანდო ალონსომ** სეზონში მესამე გამარჯვება მოიპოვა და მნიშვნელოვნად გაიმყარა ლიდერობა საერთო ჩათვლაში, **სებასტიან ფეტელი** კი ტრასის მიღმა გადავიდა და ისე გაუსწრო **ჯენსონ ბატონს**, რის გამოც მას მეორე ადგილი ჩამოართვეს.

„ჰოკენჰაიმრინგზე“ უქმეების სცენარი იგივე იყო, რაც ორი კვირის წინ სილვერსტოუნში - წვიმა პარასკევის თავისუფალ პრაქტიკებსა და შაბათს, კვალიფიკაციის დროს და გუშინდელი რბოლა მშრალ ასფალტზე. და ისევე, როგორც ორი კვირის წინ, საკვალიფიკაციო რბოლა ალონსომ მოიგო. სამმა მრბოლელმა - **გროსჟანმა, როსბერგმა** და **უებერმა** ხუთი ადგილი დაკარგეს გადაცემათა კოლოფის შეცვლის გამო, **პერესმა** კი ანალოგიური ჯარიმა კვალიფიკაციაზე ალონსოსა და **რაიკონენის** ბლოკირებისთვის მიიღო.

სტარტის წინ, ასფალტის ტემპერატურა 30 გრადუსამდე ავიდა. ბევრი რამ იყო დამოკიდებული დასაწყისში საბურავის შემადგენლობის არჩევანზე - პილოტების უმრავლესობამ „სოფტი“-აირჩია.

ალონსომ დამაჯერებლად დაიცვა თავისი პოული, ფეტელს კი თავდაცვა მოუწია **მიხაელ შუმახერის** შეტევებისგან. **ჰიულკენბერგმა** შეინარჩუნა მეოთხე ადგილი, მის უკან კი ბატონი, **მალდონადო**, უებერი და **ჰემილტონი** აღმოჩდნენ. ათეულს ასრულებდნენ რაიკონენი და **დი რესტა**.

**მასამ, სენამ** და გროსჟანმა ბოქსებში შეუხვიეს ინციდენტების შემდეგ მანქანების რემონტისთვის. მასას „ფერარის“ წინა ანტიფრთის ნამსხვრევებმა ჰემილტონის მანქანის უკანა მარცხენა საბურავი გამოიყვანა მწყობრიდან და ლუისი ბოქსებისკენ გაემართა, რითაც პელოტონის ბოლოში აღმოჩნდა. ამის შემდეგ, ბრიტანელი პერიოდულად სწრაფ წრეებს გადიოდა, მაგრამ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ვერ შეძლო.

ამასობაში, რაიკონენმა პირველ წრეებში მაინც შეძლო პოლ დი რესტას დაცვის დაძლევა, სერხიო პერესმა კი უკვე მეხუთე წრისთვის მე-17 ადგილიდან მეათემდე გადაინაცვლა. მერვე წრეზე ჰიულკენბერგის საბურავები გაცვდა და მეექვსე მოსახვევში მას გვერდი აუარა ბატონმა. ამ უკანასკნელმა რამდენიმე წრის შემდეგ, მესამე ადგილი წაართვა შუმახერს.

„ფორს ინდიას“ ავტომობილებზე საბურავები საბოლოოდ გამოვიდა მწყობრიდან და მე-11 წრეზე დი რესტამ გახსნა პიტ-სტოპების პირველი სერია.

რბოლის მეორე ნაწილში ფეტელი თანდათან დაეწია ალონსოს და სახიფათო დისტანციაზეც მიუახლოვდა ლიდერს, მაგრამ ესპანელმა შეტევის ერთი შანსიც არ მისცა გერმანელს. მესამე პოზიციაზე მყოფი ბატონი კი მიუახლოვდა ამ დუეტს - ჩამორჩენა წამნახევარს შეადგენდა.

პირველ სამეულში ცვლილება მეორე პიტ-სტოპის შემდეგ მოხდა. ბატონი ერთი წრით ადრე შევიდა ბოქსებში, შემდეგ სინქრონულად შეცვალეს საბურავები ალონსომ და ფეტელმა. ესპანელი ბატონის წინ დაბრუნდა ტრასაზე, სამაგიეროდ, სებასტიანი აღმოჩნდა ჯენსონის უკან მესამე პოზიციაზე.

ბატონი ალონსოს გამოეკიდა - ინგლისელი რამდენიმე წრის განმავლობაში წამზე ნაკლებ დისტანციაზე იყო ლიდერთან, მაგრამ ვერც „მაკლარენის“ წარმომადგენელმა შეძლო იერიშის განხორციელება. ამასობაში, არც ფეტელი აპირებდა დანებებას - მსოფლიოს ჩემპიონი ახლოს იყო დაწინაურებულ დუეტთან.

ალონსოსთან რამდენიმე წრე ბრძოლით ბატონმა საბურავები გაცვითა და ტემპის დაკარგვა დაიწყო. „მაკლარენის“ პილოტის ჩამორჩენა სამ წამამდე გაიზარდა, ფეტელი კი ბრიტანელს უახლოვდებოდა.

სებასტიანმა ფინიშამდე ერთი წრით ადრე განახორციელა შეტევა - ბატონმა სცადა ტრაექტორიის გადაკეტვა, მაგრამ ფეტელი უფრო სწრაფი აღმოჩნდა, თუმცა მას მანევრის დასრულება ტრასის მიღმა მოუწია. ამიტომაც, ეს ინციდენტი მსაჯებმა შეისწავლეს და რბოლის შემდეგ, გერმანელი 20 წამით დააჯარიმეს. ამით ჩემპიონი მეორედან მეხუთე პოზიციამდე ჩამოქვეითდა და პოდიუმზე ადგილი დაკარგა.

ფერნანდო ალონსო კი იმ მომენტისთვის უკვე ხუთ წამს უგებდა კონკურენტებს და მარტომ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ეს ესპანელის მეორე მოგებაა ბოლო სამ რბოლაში და 30-ე კარიერაში. გარდა ამისა, ფერნანდომ ჰოკენჰაიმში მესამედ გაიმარჯვა.

ბატონი აპრილის შუა რიცხვებიდან მოყოლებული პირველად ავიდა პოდიუმზე. მესამეზე გავიდა რაიკონენი, რომელმაც პირველი პიტ-სტოპის შემდეგ არავის დაუთმო ეს პოზიცია.

სეზონში მესამე გამარჯვების შემდეგ, ალონსოს უპირატესობა საერთო ჩათვლაში 34 ქულით გაიზარდა, ასე რომ, მომდევნო ეტაპის - უნგრეთის გრანპრის შემდეგ, ესპანელი ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნებს ლიდერობას.

მარკ უებერმა და სებასტიან ფეტელმა შეინარჩუნეს მეორე და მესამე პოზიციები. „რედ ბულის“ პილოტებს შორის სხვაობა 10 ქულაა. რაიკონენმა მეოთხე ადგილი ჩამოართვა ჰემილტონს. ბატონი მეშვიდე პოზიციაზე გადავიდა.

კონსტრუქტორთა თასზე „რედ ბულსა“ და „ფერარის“ შორის თითქმის იგივე სხვაობა დარჩა, რაც წინა ეტაპის წინ იყო. „მაკლარენმა“ დაიბრუნა მესამე ადგილი, თუმცა ბრიტანელები მხოლოდ ერთ ქულას უგებენ „ლოტუსს“.

ჩემპიონატის მე-11 ეტაპი ერთი კვირის შემდეგ, უნგრეთის „ჰუნგარორინგზე“ გაიმართება, რის შემდეგაც ჩემპიონატში ერთთვიანი შესვენება გამოცხადდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ალონსომ შამპანური დაიმსახურა

### გერმანიის გრან-პრი. X ეტაპი

ჰოკენჰაიმი (67 წრე, 306.458 კმ)

| | |
|---|---|
| 1(1). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 1:31.05,862 (2 პიტ-სტოპი) |
| 2(7). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +6,949 (2) |
| 3(10). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) | +16,409 (2) |
| 4(13). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | +21,925 (2) |
| 5(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | + 23,732 (2) |
| 6(12). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +27,896 (2) |
| 7(4). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +28,970 (3) |
| 8(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +46,941 (2) |
| 9(5). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია, გერმანია) | +48,162 (3) |
| 10(17). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +48,889 (3) |
| 11(9). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +59,227 (2) |
| 12(11). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) | +1.11,428 (2) |
| 13(14). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +1.16,829 (2) |
| 14(18). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) | +1.16,965 (3) |
| 15(6). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 1 წრე (3) |
| 16(20). ვიტალი პეტროვი (კატერჰემი, რუსეთი) | 1 წრე (3) |
| 17(16). ბრუნო სენა (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე (3) |
| 18(15). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) | 1 წრე (3) |
| 19(19). ჰეიკი კოვალაინენი (კატერჰემი, ფინეთი) | 2 წრე (4) |
| 20(21). შარლ პიკი (მარუსია, საფრანგეთი) | 2 წრე (2) |
| 21(23). პედრო დე ლა როსა (HRT, ესპანეთი) | 3 წრე (2) |
| 22(22). ტიმო გლოკი (მარუსია, გერმანია) | 3 წრე (2) |
| 23(24). ნარაიან კართიკეიანი (HRT, ინდოეთი) | 3 წრე (2) |
| 24(8). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 10 წრე (2) |

### საერთო ჩათვლა

1. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 154 (3); 2. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 120 (2); 3. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 110 (1); 4. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 98; 5. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 92 (1 მოგება); 6. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 76 (1); 7. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 68 (1); 8. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 61; 9. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 47; 10. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 33; 11. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 29 (1); 12. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 29; 13. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 27; 14. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 23; 15. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია, გერმანია) - 19; 16. **ბრუნო სენა** (უილიამსი, ბრაზილია) - 18; 17. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 4; 18. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 2.

### კონსტრუქტორთა თასი

1. **რედ ბული** - 230; 2. **ფერარი** - 177; 3. **მაკლარენი** - 160; 4. **ლოტუსი** - 159; 5. **მერსედესი** - 105; 6. **ზაუბერი** - 80; 7. **უილიამსი** - 47; 8. **ფორს ინდია** - 46; 9. **ტორო როსო** - 6.

# უცხოური სპორტი

## ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი



ბრედლი უიგინსის ტრიუმფი

# მისია შესრულებულია

შაბათს, დროზე განცალკევებითი რბოლის მოგებით **ბრედლი უიგინსმა** გაიფორმა პირველობა საერთო ჩათვლაში და პირველი ბრიტანელი გახდა, ვინც ტურ დე ფრანსზე გაიმარჯვა.

ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ სწორედ უიგინსი და „თიმ სქაიში" მისი თანაგუნდელი **კრისტოფერ ფრუმი** დაიკავებდნენ პირველ ორ ადგილს ბოლოსწინა ეტაპზე. ტური მიატოვეს დროზე განცალკევებითი რბოლის სპეციალისტებმა - შვეიცარიელმა **ფაბიან კანჩელარამ** და გერმანელმა **ტონი მარტინმა**, ამიტომაც, ბრიტანელებს, უბრალოდ, კონკურენტები არ ჰყავდათ. შესაბამისად, გასაგები იყო, რომ საერთო ჩათვლის კლასიფიკაციაში აღარაფერი შეიცვლებოდა. თუმცა მთლად ასეც არ ყოფილა - შარშანდელმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **კეიდელ ევანსმა** კიდევ ერთი საფეხურით დაიწია უკან.

ყველა ცდილობდა თავის გამოჩენას - **პატრიკ გრეტშმა** შესანიშნავი რბოლა წარმართა, კარგი იყო **პეტერ ველიტსი**, **ლუის ლეონ სანჩესმა**, საერთოდ, მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა ამას მისგან არავინ ელოდა... მაგრამ „თიმ სქაის" წინაალმდეგ შანსი არავის ჰქონდა - ამ გუნდის სამი წევრი მოხვდა პირველ ხუთეულში!

ბრედლი უიგინსი მთლიანად აკონტროლებდა რბოლას და ფრუმს წუთზე მეტი მოუგო - უფრო მეტი, ვიდრე ამას ეტაპის წინ ვარაუდობდნენ. ბევრი აღიარებს, რომ წარმოშობით კენიელი მთებში ოდნავ სჯობდა უიგინსს, ასე რომ, არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ფრუმს პირველ კვირას ორი წუთი რომ არ დაეკარგა.

„თიმ სქაის" შეუძლია შვებით ამოისუნთქოს. მისია შესრულებულია. პირველი და მეორე ადგილი გენერალურ კლასიფიკაციაში, დროზე განცალკევებით რბოლაში უიგინსის ორი მოგება, ფრუმის გამარჯვება პირველ სამთო ეტაპზე და **მარკ კევენდიშის** სამი წარმატება სპრინტში. ბრიტანელებმა ისეთი გუნდი შექმნეს, როგორიც ველოსპორტში Deutsche Telekom-სა და US Postal-ის დაპირისპირების შემდეგ არ უნახავთ.

გუშინ კი პარიზის ელისეს მინდვრებზე უიგინსმა და მისმა თანაგუნდელებმა ბევრი იმუშავეს იმისთვის, რომ ბოლო სპრინტერული ეტაპი კევენდიშს მოეგო. „თიმ სქაი" აქაც ტრიუმფატორი აღმოჩნდა - მარკმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო ტურ დე ფრანსის ეტაპი. გარდა ამისა, ეს ამ ტურზე მისი მესამე ტრიუმფი იყო და ის ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა სლოვაკ **პეტერ საგანსა** და გერმანელ **ანდრე გრაიპელს**.

ასე დასრულდა რიგით 99-ე ტურ დე ფრანსი. გაისად ჩვენ საიუბილეო ველომარათონი გველის, რის გამოც ის განსაკუთრებული იქნება. მანამდე კი, უკვე შაბათს, ლონდონის ოლიმპიადაზე ჯგუფური რბოლა გაიმართება და „თიმ სქაის" ბრიტანელი წევრები, მათ შორის, ბრედლი უიგინსი ისევ მარკ კევენდიშზე იმუშავებს, თავად კი, რამდენიმე დღის შემდეგ, დროზე განცალკევებითი რბოლის მოგებას ეცდება.

### XIX ეტაპი

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +1,16; 3. **ლუის ლეონ სანჩესი** (ესპანეთი - Rabobank) - +1,50; 4. **პეტერ ველიტსი** (სლოვაკეთი - Omega Pharma-Quickstep) - +2,02; 5. **რიჩი პორტი** (ავსტრალია - Team Sky) - +2,25; 6. **პატრიკ გრეტში** (გერმანია - Argos-Shimano) - +2,28; 7. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +2,34; 8. **ვასილი კირიენკო** (ბელარუსი - Movistar) - +2,46; 9. **რეინ ტაარამაე** (ესტონეთი - Cofidis) - +2,50; 10. **ჟერემი რუა** (საფრანგეთი - FDJ) - +3,05...

### XX ეტაპი

1. **მარკ კევენდიში** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **პეტერ საგანი** (სლოვაკეთი - Liquigas) - იგივე დრო; 3. **მეტიუ ჰოსი** (ავსტრალია - Orica-GreenEdge) - იგივე დრო; 4. **ხუან ხოსე ხაედო** (არგენტინა - SaxoBank-Tinkoff Bank) - იგივე დრო; 5. **კრის ბეკმანსი** (ბელგია - Vacansoleil) - იგივე დრო; 6. **გრეგ ჰენდერსონი** (ახალი ზელანდია - Lotto-Belisol) - იგივე დრო; 7. **ბორუტ ბოჟიჩი** (სლოვენია - „ასტანა") - იგივე დრო; 8. **ანდრე გრაიპელი** (გერმანია - Lotto-Belisol) - იგივე დრო; 9. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორვეგია - Team Sky) – იგივე დრო; 10. **ჯიმი იგულვენი** (საფრანგეთი - Saur-Sojasun)...

### საერთო ჩათვლა

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +3,21; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +6,19; 4. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol) - +10,15; 5. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +11,04; 6. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +15,43; 7. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +15,51; 8. **პიერ როლანი** (საფრანგეთი - Europcar) - +16,31; 9. **იანეც ბრაიკოვიჩი** (სლოვენია - ასტანა) - +16,38; 10. **ტიბო პინო** (საფრანგეთი - FDJ) - +17,17...

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### გერმანია

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბურგჰაუზენი-მიუნსტერი | 0:2 |
| ოსნაბრიუკი-დორტმუნდი II | 2:0 |
| შტუტგარტი II-ზაარბრიუკენი | 0:1 |
| ჰალეშერი-ოფენბახი | 1:0 |
| ვეენი-ერფურტი | 3:1 |
| ჰანზა-შტ. კიკერსი | 2:1 |
| დარმშტადტი-უნტერჰახინგი | 0:0 |
| ხემნიცი-ბაბელსბერგი | 1:0 |
| ჰაიდენჰაიმი-კარლსრუე | 2:2 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ფიურტი II-ზელიგენპორტენი | 0:0 |
| ბაიერნი II-აუგსბურგი II | 1:1 |
| როზენჰაიმი-მემინგენი | 0:2 |
| ილერტისენი-ინგოლშტადტი II | 2:2 |
| ისმანინგი-ვიურცბურგერი | 2:0 |
| ფრონლახი-ჰელმსშტეტენი | 1:1 |
| ვიქტორია-რაინი | 2:0 |
| ნიურნბერგი II-ელტერსდორფი | 3:1 |

#### ბელგია

**სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ლოკერენი | 3:2 |

#### დანია

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-ნორდსილანდი | 3:1 |
| ოდენსე-რანდერსი | 0:1 |
| სონდერიისკი-კოპენჰაგენი | 1:1 |
| ოლბორგი-ბრონდბიუ | 2:1 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| მოლდე-ვიკინგი | 1:2 |
| ბრანი-ოლესუნდი | 2:1 |
| ფრედრიკსტადი-ჰიონეფოსი | 0:2 |
| ოდ გრენლან.-სტრიომსგოდსეტი | 2:1 |
| სტაბეკი-ვოლერენგა | 1:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-კონგსვინგერი | 1:1 |
| ტრიომსდალენი-სტარტი | 1:2 |
| ალტა-რანჰაიმი | 1:1 |
| ბორუმი-სანდეფიორდი | 1:3 |
| ბრინი-ჰამ კამი | 0:1 |
| ჰიოდი-სარპსბორგი | 2:1 |
| მიონდალენი-ნოტოდენი | 2:2 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| გეფლე-გიოტებორგი | 5:0 |
| სუნდსვალი-მიალბიუ | 3:1 |
| სირიანსკა-ჰელსინგბორგი | 1:3 |
| ელფსბორგი-კალმარი | 3:0 |
| აიკ-ატვიდაბერგი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დეგერფორსი-ოსტერსი | 2:2 |
| ლანდსკრონა-უმეა | 2:1 |
| ლიუნგსკილე-ტრელებორგი | 1:0 |
| ვარბერგი-ანგელჰოლმი | 1:3 |
| ბრომაპიოკარნა-ასირისკა | 4:2 |
| ფალკენბერგი-ჰალმსტადი | 3:1 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| იარო-ვაასა | 0:0 |
| ჰიკ-ჰაკა | 1:0 |
| მარიეჰამნი-იუვიასკიულა | 3:3 |
| კუოპიო-ინტერი | 0:6 |
| მიურა-ჰონკა | 0:0 |
| ტურკუ-ლაჰტი | 4:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| როვანიემი-იიპო | 1:1 |
| ვიიკინგიტი-ჰამეენლინა | 0:2 |
| პკ35-ჰიფკ | 5:1 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბაზელი-ლუცერნი | 2:2 |
| ლოზანა-სტ. გალენი | 0:1 |
| სიონი-სერვეტი | 1:0 |
| იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი | 0:1 |
| ციურიხი-თუნი | 0:2 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ვინტერტური-ვადუცი | 2:0 |
| კიასო-ბილი | 1:1 |
| არაუ-ლოკარნო | 1:1 |
| ვილი-ვოლენი | 0:1 |

#### ისლანდია

| | |
|---|---|
| სტიარნანი-რეიკიავიკი | 1:1 |
| გრინდავიკი-ჰაფნარი | 0:1 |
| ვესტმანაიეარი-სელფოსი | გადაიდო |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| უნივერსიტი-სტ. პატსი | 1:1 |
| სლიგო-კორკი | 2:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლონგფორდი-უოტერფორდი | 0:1 |
| ფინ ჰარპსი-უექსფორდი | 3:3 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| შტურმი-ზალცბურგი | 0:2 |
| რაპიდი-ტიროლი | 4:0 |
| მატერსბურგი-ვინერი | 2:0 |
| ადმირა-რიდი | 0:2 |

#### ხორვატია

| | |
|---|---|
| დინამო-ინტერი | 1:1 |
| სიბალია-სლავენი | 0:3 |
| ზადარი-ოსიეკი | 0:0 |
| ისტრა-ჰაიდუკი | 0:0 |

#### ესტონეთი

| | |
|---|---|
| ვიილანდი-კურესაარე | 6:0 |
| კალიუ-ფლორა | 2:0 |
| პაიდე-ტამეკა | 4:1 |
| ტრანს ნარვა-სილამაე | 0:1 |

#### ლიტვა

| | |
|---|---|
| ტაურასი-სუდუვა | 1:2 |
| შიაულიაი-კრუოია | 1:0 |
| ჟალგირისი-ატლანტასი | 3:1 |

#### მოლდოვა

| | |
|---|---|
| კოსტულენი-ისკრა | 0:0 |
| აკადემია-შერიფი | 1:4 |
| სპერანტა-რაპიდი | 0:1 |
| ტირასპოლი-ოლიმპია | 0:0 |
| დაჩია-ზიმბრუ | 3:2 |
| მილსამი-ნისტრუ | 2:0 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| პეტროლული-ჩახლაული | 5:0 |
| კლუჟი-გაზ მეთანი | 1:1 |
| ლაში-ოცელული | 1:2 |
| გლორია-ასტრა | 1:2 |
| რაპიდი-ვასლუი | 2:2 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| ცსკა-როსტოვი | 1:0 |
| ვოლგა-დინამო | 1:0 |
| ალანია-სპარტაკი | 1:2 |
| ზენიტი-ამკარი | 2:0 |
| კრ. სოვეტოვი-ტერეკი | 1:1 |
| ანჟი-ყუბანი | 2:1 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| მიიავა-მორავცე | 2:2 |
| ნიტრა-რუჟემბეროკი | 1:1 |
| ბისტრიცა-ტრენჩინი | 2:0 |
| კოშიცე-სლოვანი | 1:0 |
| პრეშოვი-შენიცა | 2:0 |

#### სლოვენია

| | |
|---|---|
| მარიბორი-კოპერი | 0:0 |
| გორიცა-მურა | 3:1 |
| ტრიგლავი-ალუმინი | 1:0 |
| რუდარი-ოლიმპია | 0:5 |
| დომჟალე-პუბლიკუმი | 0:1 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| გოვერლა-შახტარი | 1:3 |
| კარპატი-ილიჩივეცი | 1:5 |
| ტავრია-მეტალისტი | 0:1 |
| მეტალურგი (ზ)-დნიპრო | 0:4 |
| ვოლინი-ვორსკლა | 1:0 |
| არსენალი-დინამო | 0:1 |
| მეტალურგი (დ)-ზორია | 1:2 |

#### ბრაზილია

| | |
|---|---|
| სპორტ რესიფე-ატ. მინეირო | 1:4 |
| ვასკო-სანტოსი | 2:0 |
| კორინთიანსი-პორტუგეზა | 1:1 |
| კრუზეირო-ფლამენგო | 1:0 |
| ფიგეირენსე-სან პაულუ | 0:2 |
| ინტერნასიონალი-ატ. გოიანენშე | 4:1 |
| პალმეირასი-ნაუტიკო | 3:0 |

#### ჩილე

| | |
|---|---|
| უნ. კონსეპსიონი-ანტოფაგასტა | 0:2 |
| ო'ჰიგინსი-უნ. ესპანიოლა | 1:3 |
| პალესტინო-ლა კალერა | 1:0 |
| კობრელოა-აუდაქსი | 1:2 |
| დეპ. იკიკე-უნ. ჩილე | 0:0 |
| უონდერერსი-რეინჯერსი | 2:2 |
| ლა სერენა-უაიჩიპატო | 2:1 |
| კოლო კოლო-კობრესალი | 1:2 |

#### ეკვადორი

| | |
|---|---|
| დეპ. კუენკა-ინდეპენდიენტე | 2:1 |
| დეპ. კიტო-მანტა | 0:1 |
| ლდუ კიტო-ოლმედო | 0:0 |
| ბარსელონა-დეპ. მაკარა | 4:0 |
| ტექ. უნივერსიტარიო-ემელეკი | 1:1 |

#### პერუ

| | |
|---|---|
| სპორტ ბოისი-სან მარტინი | 0:1 |
| კობრესოლი-სესარ ვალიეხო | 0:2 |
| ხუან აურიჩი-ინტი გასი | 2:1 |
| უნივერსიტ.-რეალ გარსილასო | 2:1 |
| სპ. კრისტალი-სპორტი | 2:2 |
| ლეონი-უნ. კომერსიო | 7:1 |
| სენსიანო-ალ. ლიმა | 3:2 |

#### მექსიკა

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-ტიგრესი | 0:4 |
| ტიხუანა-პუებლა | 2:0 |
| კრუს ასული-მორელია | 0:0 |
| კერეტარო-ლეონი | 0:2 |
| მონტერეი-ამერიკა | 0:0 |
| ს. ლაგუნა-სან ლუისი | 2:1 |
| ატლასი-პუმასი | 1:1 |
| ტოლუკა-გვადალახარა | 2:1 |

#### აშშ

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი-ფილადელფია | 2:0 |
| კოლამბუსი-დი სი იუნაიტედი | 1:0 |
| ჰიუსტონი-მონრეალი | 3:0 |
| კანზას სიტი-ნიუ ინგლენდი | 0:0 |
| დალასი-პორტლენდი | 5:0 |
| ლოს ანჯელესი-ჩივასი | 3:1 |
| სოლტ ლეიკი-კოლორადო | 2:0 |

### კალათბურთი

#### ევროჩემპიონატი 2012

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ლიტვა | 68:73 |
| ესპანეთი-საფრანგეთი | 59:66 |
| სერბეთი-ესპანეთი | 66:67 |
| ლიტვა-საფრანგეთი | 80:49 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ბრაზილია | 87:71 |
| აშშ-არგენტინა | 86:80 |

### ჩოგბურთი

#### ATP. გშტაადი

| | |
|---|---|
| ბელუჩი-დიმიტროვი | 7:6, 7:6 |
| ტიპსარევიჩი-მატიო | 7:6, 6:3 |
| ტიპსარევიჩი-ბელუჩი | 7:6, 4:6, 2:6 |

#### ATP. ჰამბურგი

| | |
|---|---|
| ალმაგრო-მონაკო | 6:3, 3:6, 4:6 |
| ჩილიჩი-ჰაასი | 6:7, 0:6 |
| მონაკო-ჰაასი | 7:5, 6:4 |

#### ATP. ატლანტა

| | |
|---|---|
| ისნერი-**როდიკი** | 4:6, 7:6, 4:6 |
| სოედა-მიულერი | 4:6, 3:6 |
| **როდიკი**-მიულერი | 1:6, 7:6, 6:2 |

#### ATP. კიტცბუელი

| | |
|---|---|
| გაბაშვილი-როსოლი | 6:7, 1:6 |
| სოუზა-ოდესნიკი | 7:5, 4:6, 3:6 |

#### WTA. კარლსბადი

| | |
|---|---|
| პეტროვა-ციბულკოვა | 6:7, 1:6 |
| **ბარტოლი**-ჩანი | 1:6, 6:3, 6:3 |

#### WTA. ბაშტადი

| | |
|---|---|
| **იოჰანსონი**-ლარსონი | 6:4, 6:4 |
| ბარტელი-ჰერცოგი | 1:6, 3:6 |
| იოჰანსონი-**ჰერცოგი** | 6:0, 4:6, 5:7 |

## კალათბურთი

# როუზი მალე ავარჯიშდება

## NBA-ში მაისურებზე რეკლამები დაუშვეს

„ჩიკაგო ბულზის" ლიდერმა **დერიკ როუზმა**, რომელმაც გასული პლეი ოფის პირველ რაუნდში მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი აღდგენითი პროცესი იმაზე სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ, შესაბამისად, 2010-11 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშე სულ მალე სრულფასოვან ვარჯიშებს შეუდგება.

*„მოუთმენლად ველოდები იმ მომენტს, როცა ისევ დავიწყებ სირბილს,* - ამბობს სააგენტო AP-თან კომენტარში როუზი. - *ღმერთი და გულშემატკივრები ჩემ გვერდით არიან. მალე ასი პროცენტით ვიქნები მზად. იმედია, ძველ კონდიციებს დავიბრუნებ და შემდეგ სეზონს უმაღლეს დონეზე ჩავატარებ".*

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დირექტორთა საბჭომ 2013-14 წლების სეზონიდან მოთამაშეთა მაისურებზე რეკლამების განთავსების იდეას მხარი დაუჭირა. თავდაპირველად, ლიგას წესებში ამ ცვლილების შეტანა მომავალი სეზონიდან სურდა, მაგრამ გუნდებს დრო სჭირდებათ სპონსორების მოსაძებნად და სარეკლამო ადგილების გასაყიდად, მწარმოებლებმა კი ახალი მაისურები უნდა დაამზადონ და რეალიზაციაში გაუშვან.

ვარაუდობენ, რომ ამ ნაბიჯით NBA დაახლოებით 100 მილიონით გაზრდის თავის შემოსავალს.

■ ■ ■

„ორლანდო მეჯიქის" აღმასრულებელი დირექტორი **ალექს მარტინესი** შაბათს გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მთავარ კანდიდატს - **ჟაკ ვონს** შეხვდა. უახლოეს დღეებში ყოფილი კალათბურთელი „ორლანდოს" მფლობელ **რიჩარდ დევოსსაც** ესტუმრება.

„მეჯიქის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კანდიდატებად ასევე სახელდებიან **მაიკლ კარი** და **ლინდსი ჰანტერი**, რომლებიც „ფილადელფიასა" და „ფინიქსში" მთავარი მწვრთნელების ასისტენტები არიან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დერიკ როუზი

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ცხოვრება შედგება ცალკეული მოძრაობებისგან. კვლავ ისიამოვნე თითოეული მათგანით.**

მოძრაობა გიჭირთ? ვოლტარენ ემულგელი ღრმად აღწევს ქსოვილებში. მტკივნეული ანთებითი ადგილი მაგნიტის მსგავსად იზიდავს ვოლტარენის მკურნალ ძალას, რომელიც აყუჩებს ტკივილს,კონცენტრირდება რა ზუსტად ტკივილის კერაში.

**იყავი აქტიური და ისიამოვნე ყოველდღიური მოძრაობით!**

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №18,
ტელ.: 298 27 30, 298 27 50

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

3/565/GE/06.07.2012

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608